გაზეთი გამოდის
1930 წლის 5
ნოემბრიდან

samtrediismacne @ mail.ru

სამტრედიის მაცნე

N34 (9214) 10 დეკემბერი. 2016 წელი ფასი 50 თეთრი

ყოჩაღ, სამტკიცელიას!

2

2

ჯირი პრეცლიკის საქმიანი ვიზიტი სამტრედიაში

შიდსი დიაგნოზია და არა განაჩენი! 4

3

„შევეცადეთ, ობიექტურობა არ დაკარგულიყო"

შეჩერდი, ლარო!

6

რატომ სჩადიან მოზარდები დანაშაულს 9

თუ ვინმე ფიქრობს, რომ წელიწადში 2250 ლარად კარგ განათლებას მიიღებს, ცდება! 7

3 „ქალაქის დამნაგვიანებლები უნდა დაჯარიმდნენ"

ყოჩაღ, სამტრედიას!

ნინო ნანიტაშვილი

სამტრედიაში ძლიერი ქარის შედეგად დაზიანებული ობიექტები იმერეთში სახელმწიფო რწმუნებულის _ გუბერნატორის მოადგილემ მოინახულა. პაატა ნადირაძე 1-ლ დეკემბერს, წვიმიანი ამინდის მიუხედავად, ყველა იმ შენობა-ნაგებობის დაფიქსირებას შეეცადა, რომლებსაც 20, 21 და 22 ნოემბერს ძლიერმა ქარმა სახურავები ახადა.

გუბერნატორის მოადგილე ადგილზე მისვლით არკვევდა, თუ როგორ გადაუწყვიტა დაზარალებულ მოსახლეობას პრობლემა ადგილობრივმა ხელისუფლებამ.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის პირველ პირებთან ერთად პაატა ნადირაძე ჯერ ჭავჭავაძის, შემდეგ ლაშა თევზაძის ქუჩებზე შესრულებული სამუშაოების ხარისხს გაეცნო.

"სტიქია ყველაზე მეტად მძვინვარებდა სამტრედიის რაიონში, ძლიერმა ქარმა ზიანი მიაყენა აგრეთვე ხონისა და წყალტუბოს მუნიციპალიტეტებს. სამტრედიაში თითქმის ყველა სამუშაო დასრულებულია. ხონსა და წყალტუბოში ჯერჯერობით მიმდინარეობს. ყოჩაღ, სამტრედიას! რაც ვნახე, კმაყოფილების განცდას მანიჭებს.

მე დღეს მოვინახულე სამივე მუნიციპალიტეტი, მივედი იმ კორპუსებთან, რომლებსაც ძლიერმა ქარმა სახურავები გადააძრო, სამტრედიაში თითქმის ყველაფერი დასრულებულია. მადლობა ადგილობრივ ხელისუფლებას, მუნიციპალიტეტის გამგებელს, თითოეულ იმ სამსახურის ხელმძღვანელს, რომლებიც ამ სამუშაოების ორგანიზებაში ჩართულები იყვნენ. მართლაც ბედნიერი ვარ, ოპერატიულად, 3-4 დღეში ასე ხარისხიანად რომ შესრულდა სამუშაოები".

1-ლ დეკემბრის მდგომარეობით სამტრედიის მუნიციპალიტეტში ძლიერი ქარის შედეგად დაზიანებული მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსების გადახურვა დასრულებულია. აღდგენითი სამუშაოების ჩატარება უამინდობის გამო დაგვიანდა დაბა კულაშში. ადმინისტრაციული შენობის სახურავის დასრულებისთვის, მშენებლის თქმით, 10-12 პროცენტი მოცულობის სამუშაოა დარჩენილი. თუმცა ეს უკანასკნელი არ იწვევს ადმინისტრაციულ შენობაში გარემონტებული ოთახების წვიმისაგან დაზიანებას. პაატა ნადირაძემ საკუთარი თვალით ნახა და დარწმუნდა, რომ სამტრედიის მუნიციპალიტეტში ძლიერი ქარის შედეგად დაზიანებული კორპუსების სახურავები სრულიად აღდგენილია.

ჯირი პრეცლიკის საქმიანი ვიზიტი სამტრედიაში

ქეთევან ჭელიძე

სულ ცოტა ხნის წინ, ჩეხეთის რესპუბლიკის ელჩის მოადგილე ჯირი პრეცლიკი თანმხლებ პირებთან ერთად სამტრედიას ეწვია. მან ადგილობრივ ხელისუფლებასთან საქმიანი შეხვედრა გამართა. ბატონმა პრეცლიკიმ განსაკუთრებით გაუსვა ხაზი მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის არასამთავრობო ჩეხურ ორგანიზაციასთან "ქეა საერთაშორისო კავკასიაში" აქტიურ თანამშრომლობას. საქმე ეხება პროექტს _ "საქართველოში მცხოვრები შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ქალებისათვის დასაქმების შესაძლებლობების გაზრდა".

პროექტის კოორდინატორის, თეონა მაქაცარიას განმარტებით, სამტრედიაში, ჯერჯერობით, მხოლოდ ერთი ასეთი პროექტი განხორციელდა, შეიქმნა შშმ ქალთა ასოციაცია "გვირილა", რომელიც ჩეხეთის განვითარების სააგენტოს მიერ დაფინანსდა.

შეხვედრის მიზანი ადგილობრივ ხელისუფლებასა და პროექტის განმახორციელებლებს შორის არსებულ შედეგებზე ინფორმაციის მიწოდება და თანამშრომლობის პერსპექტივები გახლდათ. გამოითქვა ვარაუდი, რომ "ქეა საერთაშორისო კავკასიაში" მომავალში სხვა პროექტებსაც განახორციელებს.

"მოხარულები ვართ, ამ პროექტს დავუჭიროთ მხარი. ჩეხეთის საელჩო მედიატორია ადგილობრივ ხელისუფლებასა და საერთაშორისო ორგანიზაციას შორის. ჩვენ შეგვიძლია დავეხმაროთ ფიზიკური შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ქალებს. მნიშვნელოვანია, ამ ადამიანებს ჰქონდეთ სამსახური და გამოიმუშაონ თანხა. ეს დამოუკიდებლად მათთვის ძალიან ძნელია, ამიტომ გადავწყვიტეთ, დავხმარებოდით". _ განაცხადა ჯირი პრეცლიკიმ.

მუნიციპალიტეტის გამგებელი ვალერიანე ფოცხვერია მიესალმება ჩეხეთის რესპუბლიკის ელჩის მოადგილის სამტრედიაში სტუმრობას. მიუთითა ქართველებისადმი მის კეთილგანწყობაზე, კმაყოფილება გამოთქვა არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ სამტრედიაში განხორციელებულ პროექტზე, რომელსაც შესაძლებლობის ფარგლებში მუნიციპალიტეტის გამგეობა დახმარებას გაუწევს.

"როცა პროექტის კოორდინატორმა "ქეა საერთაშორისო კავკასიაში" თეონა მაქაცარიამ პროექტის შესახებ ინფორმაცია მოგვაწოდა, დავუკავშირდით იმ ადამიანებს, ვისთვისაც ამ პროექტში მონაწილეობა აუცილებელი იქნებოდა. წარმოდგენილი 4 პროექტიდან გაიმარჯვა ქალბატონ დარეჯან სართანიას პროექტმა. შეიქმნა სამკერვალო "გვირილა", სადაც 6 შეზღუდული შესაძლებლობის ქალბატონი გაერთიანდა. შეიძინეს საკერავი მანქანები და ქსოვილები. პროექტში რომ ჩართულიყვნენ, მონაწილეებმა, წესისამებრ, მიზერული თანხა გაიღეს, რაც საკმარისი არ აღმოჩნდა. ამიტომ დავეხმარებით მათ. მომავალ წელს, შესაძლოა, სამტრედიაში კიდევ ორი პროექტი განხორციელდეს. გარკვეული ძალისხმევაა საჭირო, რომ ადამიანები მოვამზადოთ ამისთვის. მოვახდინოთ მათი საინფორმაციო უზრუნველყოფა. მაგალითს დიდი ძალა აქვს და მათ უნდა გაუჩნდეთ განცდა, რომ მათზე სხვა ქვეყანაშიც ზრუნავენ, რომ ყველაფერი წინ აქვთ. ერთობლივად ჩვენ ბევრ რამეს გავაკეთებთ. ეს ძალიან კეთილშობილური საქმიანობაა, რისთვისაც ჩეხეთის მთავრობის მადლიერი ვარ". _ აღნიშნა გამგებლის მოადგილემ ლიზა კრავეიშვილმა.

შეხვედრის ბოლოს ჯერი პრეცლიკი სხვებთან ერთად საველე ვიზიტით "გვირილას" ეწვია.

პირველი კომენტარი მედიისთვის

თეა ბაბუნაშვილი

ჯერ კიდევ წინა სხდომაზე მუნიციპალიტეტის საკრებულომ გულისტკივილით მიიღო გადაწყვეტილება მაია ნუცუბიძის საკრებულოს წევრთა სიიდან ამოღების შესახებ. ამის აუცილებლობა უკვე ყოფილი წევრის ჯანმრთელობის მდგომარეობით გახლავთ გამოწვეული.

რადგან მისი ახალი წევრით ჩანაცვლება, კანონმდებლობით აუცილებელ პირობას წარმოადგენს. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულომ, საქართველოს ორგანული კანონის "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 24-ე მუხლის 1-ლი ნაწილის და საქართველოს ორგანული კანონის "საქართველოს საარჩევნო კოდექსის" 154-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილის მიხედვით, განიხილა სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ცნობის საკითხი. როგორც იურიდიულ, სამანდატო და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ, მანანა სირბილაძემ განაცხადა, "საკრებულოს დღევანდელ სხდომაზე საკითხის გამოტანა კანონით გათვალისწინებული აუცილებლობით გახლდათ გამოწვეული. საოლქო-საარჩევნო კომისიიდან უკვე მივიღეთ დოკუმენტაცია იმ პირის ვინაობის შესახებ, ვინც პროპორციული სიით მაია ნუცუბიძის ადგილმონაცვლე გახლავთ."

იგი "რესპუბლიკური პარტიის" წევრი კახა ქუთათელაძეა, რომლის უფლებამოსილებაც საკრებულოს ბოლო სხდომაზე სცნეს. "იმ სამწუხარო ფაქტის შემდეგ, რასაც ქალბატონ მაიასთან მიმართებაში აქვს ადგილი, მინდა ჯანმრთელობა ვუსურვო მას. რაც შეეხება საკრებულოს ახალ წევრს, წარმატებებს ვუსურვებ კახა ქუთათელაძეს. იმედია, ყველა ჩვენი შეხვედრა საკრებულოში მუნიციპალიტეტისთვის საკეთილდღეო იქნება." _ სხვადასხვა ორგანიზაციების ბიუჯეტში მუხლობრივი ცვლილებების განხილვის შემდეგ, ამ სიტყვებით წარუდგინა ახალი წევრი კოლეგებს საკრებულოს თავმჯდომარემ, ნუგზარ ჯამბურიამ.

როგორც საკრებულოს ახლად არჩეული წევრი აცხადებს, მეშვიდე წელია, "რესპუბლიკურ პარტიას" წარმოადგენს. თავის დროზე ძალოვან სტრუქტურებში მუშაობდა. იყო შინაგან საქმეთა სამინისტროს აპარატის წევრი, სხვადასხვა თანამდებობა ეჭირა სასჯელაღსრულების სისტემაში. "ჩემი ამ სისტემიდან წამოსვლის მიზეზი ბაჩო ახალაიასთან და მეგის ქარდავასთან დაპირისპირება გახლდათ. მაშინ ეს, რბილად რომ ვთქვათ, ცუდ ტონად ითვლებოდა. ახლა გამოჩნდა, რომ ყველა დაპირისპირებული უნდა ყოფილიყო მათთან. ვთვლიდი და ვთვლი, რომ მათ, და საერთოდ "ნაციონალებს", შანსი ჰქონდათ არაერთი კარგი რეფორმის სწორად გატარებისა, რადგან თავიდან ხალხის დიდი ნდობა და სიყვარული მოიპოვეს. მერე ეს ყველაფერი მათდამი ზიზღში თავად გადაზარდეს მათი ნამოქმედარით. ახლანდელმა ხელისუფლებამ, არა მიშა და ბიძინა, სისტემა უნდა შეცვალოს. ისიც არ უნდა დაანგრიოს, რაც კარგ თუ ცუდ მემკვიდრეობად მიიღეს. საკრებულოს წევრობის მანძილზე, ვეცდები იმ გუნდთან და ადამიანებთან ერთად, ვის თანამოაზრედაც ვითვლები, საქმიანი დამოკიდებულება მქონდეს მოვლენების მიმართ და რაიონისთვის ხელშესახები ცვლილებები განვახორციელო." _ ასეთი გახლავთ კახა ქუთათელაძის პირველი კომენტარი მედიისთვის საკრებულოს წევრის რანგში.

"შევეცადეთ, ობიექტურობა არ დაკარგულიყო"

ნინო ნანიტაშვილი

საკონკურსო-საატესტაციო კომისიამ პირველ დეკემბერს მე-5 შეხვედრა გამართა. კომისიის წევრებმა მე-3 ეტაპში _ გასაუბრებაში მონაწილე კონკურსანტების შესახებ ინდივიდუალური შეფასებები წარმოადგინეს, ცალ-ცალკე განხილული იქნა ყველა კონკურსანტის შეფასება. იქვე დაევალა მდივნებს შესაბამისი ოქმის მომზადება, სადაც აისახება კომისიის წევრთა გადაწყვეტილებები თითოეულ კონკურსანტზე.

გასაუბრების შედეგები ამ დღეებში ელექტრონული ფოსტით კონკურსში მონაწილე ყველა კონკურსანტს დაეგზავნა.

შეგახსენებთ, რომ 20 ნოემბერს სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგეობაში, უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე, ხელახლა გაიმართა საჯარო მოხელეთა შესარჩევი კონკურსის მესამე ეტაპი _ გასაუბრება, რომელსაც გამჭვირვალობის მიზნით ვიდეოკამერა აფიქსირებდა.

"სამტრედიის მაცნემ" კომისიის სხდომის ბოლოს სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგებელთან კომენტარი ჩაწერა. ვალერიანე ფოცხვერიას თქმით, კომისია მაქსიმალურად შეეცადა ობიექტურობა დაეცვა: "პირველ დეკემბერს შეიკრიბა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის მორიგი სხდომა, რომლის თავმჯდომარეც მე გახლავართ. რაც შეეხებათ მონაწილეებს და მათთან ჩვენს გასაუბრებას, სხვადასხვა დონის კონკურსანტებთან გვქონდა საქმე. მინდა, გითხრათ, არ არის მარტივი კომისიის თავმჯდომარეობა, განსაკუთრებით იმ პირობებში, როცა ხედავ, ადამიანები ნერვიულობენ, განიცდიან ვიდეოკამერის წინ გასაუბრებას. თუმცა, ჩვენ ამ ფაქტს ვერ ავცდით, რადგან სასამართლოს მოთხოვნა იყო, მეტი გამჭვირვალობის მიზნით ჩაგვეტარებინა კონკურსის მე-3 ეტაპი _ გასაუბრება ვიდეოჩანაწერებით. რაც შეეხება კომისიის წევრთა მხრიდან გაკეთებულ შეფასებებს, ეს ყველაფერი აისახება შემაჯამებელ ოქმში, სადაც ყველა კომისიის წევრს თავისი შეფასება აქვს გაკეთებული ასევე ყველა კონკურსანტზე. გარდა იმ დროს დაწერილი ქულებისა, მეც და კომისიის ყველა წევრმა ხელახლა ვნახეთ და მოვისმინეთ ჩანაწერები, საბოლოო შეფასების დროს ადგილი რომ არ ჰქონოდა რაიმე უზუსტობას. მინდა გითხრათ, რომ წინასწარი შეფასებები ემთხვეოდა ვიდეოადრების ნახვის შემდეგ დასმულ შეფასებებს. ასე რომ, მაქსიმალურად შევეცადეთ ობიექტურობა არ დაკარგულიყო".

გამოცდები რკინიგზაში

ნინო ნანიტაშვილი

თამაზ სილაგაძე ფოთის სადგურის რადიოს ელმექანიკოსია. 20 წელია იგი რკინიგზაში მუშაობს და თვლის, რომ თუ მეტი არა, საშუალო რკინიგზელის დონეს აუცილებლად აკმაყოფილებს. ამაში მას ორ წელიწადში ერთხელ საკვალიფიკაციო გამოცდებზე გასვლის შედეგებიც არწმუნებს.

ორი დღის წინ თამაზ სილაგაძე სამტრედიაში იმ რწმენით ჩამოვიდა, კომისიას რკინიგზელის ცოდნასა და უნარებს უპრობლემოდ, ყოველგვარი დაბნეულობის გარეშე აჩვენებდა.

ის, რაც ზოგიერთ უწყებაში სულ რამდენიმე წლის წინ დაინერგა, საქართველოს რკინიგზაში უკვე დიდი ხნის წინ აპრობირებულია. თავის თანამშრომლებს, ძირითადად, ტექნიკურ ნაწილს, დეპარტამენტი 2 წელიწადში ერთხელ გამოცდას უტარებს, რათა რკინიგზაზე არსებულ ინსტრუქციებში ცოდნის დონე შეუმოწმოს.

დასავლეთის სიგნალიზაციის, ცენტრალიზაციის და ბლოკირების სამმართველოში კომისიამ მუშაობა 5 დეკემბერს დაიწყო და 12 დეკემბერს დასრულდება.

სამმართველოს ტექნიკურ პერსონალს ტესტური კითხვა-პასუხები 1 თვის წინ დაურიგდა, მათ შორის თამაზ სილაგაძეს, რომელმაც 7 დეკემბერს კომისიის წინაშე იმისი ცოდნა გამოამჟღავნა, რასთანაც ფოთის რკინიგზის სადგურის ელმექანიკოსს ყოველდღიური სამსახურებრივი შეხება აქვს.

"ამ დღეებში რამდენიმე ათეული რკინიგზელის ცოდნა შევამოწმეთ. მინდა, გითხრათ, რომ დონე დამაკმაყოფილებელია. არც ერთი კადრი არ ჩაჭრილა, ასეც უნდა იყოს. ისინი იმ კითხვებს პასუხობენ, რასაც ყოველდღიურად პრაქტიკულად ეხებიან და რაც მათ ძირითად პროფესიულ საქმიანობას წარმოადგენს. თუმცა ჩაჭრის შემთხვევაში ეძლევათ შანსი, კომისიის წინაშე მეორედ გამოვიდნენ და ცოდნა კიდევ უფრო გაიღრმავონ". _ "სამტრედიის მაცნესთან" კომენტარში დასძენს დასავლეთის სიგნალიზაციის, ცენტრალიზაციისა და ბლოკირების სამმართველოს უფროსის მოადგილე ლევან გოგიშვილი.

„ქალაქის ადმინისტრაციებმა ფულად ანაჯარიმებენ"

ნინო ნანიტაშვილი

ღანირის თემში მცხოვრებმა ალიოშა მეფარიშვილმა პროექტ "აწარმოე საქართველოს" ფარგლებში კურდღელსაშენი მეურნეობის დასაფინანსებლად სახელმწიფოდან 5 ათასი ლარი მიიღო. ღანირის თემში იგივე პროექტის ფარგლებში ეს უკვე მეორე მოქალაქე დაფინანსდა.

ამ სასიხარულო ინფორმაციით დაიწყო 5 დეკემბერს ორშაბათის ტრადიციული თათბირი. ასევე მოისმინეს ტერიტორიული ერთეულებიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამით შესრულებული სამუშაოების ანალიზი, მოიკითხეს ძლიერი ქარის შედეგად დაზიანებული მრავალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსების გადახურვის პროცესი. ითქვა, რომ სარეაბილიტაციო სამუშაოები თითქმის ყველგან დასრულებულია. ფუფუნება არა, მაგრამ ვალდებულება აქვთ, ღამით ქალაქიც გაანათონ და შესაძლებლობის ფარგლებში _ სოფლებიც. საახალწლოდ ქალაქის ქუჩები განათებული რომ იყოს, ამაზე ფიქრი და ზრუნვა მუნიციპალიტეტის გამგებელმა ადრიანად დაიწყო. ორშაბათის ტრადიციულ თათბირზე კომუნალური გაერთიანების უფროსი ვალერიანე ფოცხვერიას საგანგებოდ ჰყავდა მოწვეული, რათა ერთად ემსჯელათ და გაევლოთ კონსულტაციები, მწირი ბიუჯეტის პირობებში მოსახლეობისთვის ქალაქის ქუჩებში გადაადგილება ღამით მოსახერხებელი და კომფორტული რომ იყოს.

სასაცილოდ მიაჩნია, მაგრამ სხვა გამოსავალს ვერ ხედავს კობა ბიბილეიშვილი. წლის ბოლოსთვის ამოწურული დაფინანსების პირობებში, კომუნალური სამსახურის თანამშრომლები მარტო ნათურების გამოცვლით კი არა, დამწვარი ლამპიონების შეკეთებით არიან დაკავებულნი.

ნათურების ხშირი დაზიანება რომ თავიდან იქნას აცილებული, მუნიციპალიტეტის გამგეობამ კომუნალურ გაერთიანებასთან ერთად გრძელვადიანი, მაგრამ მომგებიანი ღონისძიების გატარება შეიმუშავა 150 ვატიანი ნათურებიდან 50 ვატიან ლედ ნათურებზე თანდათანობითი გადასვლა თითქმის სამჯერ შეამცირებს ელექტროენერგიის მოხმარების ხარჯს.

ორშაბათის თათბირზე კომუნალურ გაერთიანებასთან თხოვნა ჰქონდა ქალაქის ტერიტორიულ ერთეულში გამგებლის წარმომადგენელს. თენგიზ ცაგურიამ კობა ბიბილეიშვილს შესჩივლა 9 აპრილის, რობაქიძისა და ლაშა თევზაძის ქუჩებზე შექმნილი საგანგაშო სიტუაცია. თათბირზე ცაგურიას კვერი ბევრმა დაუკრა, რომ ყოფილ გამარჯვების ქუჩაზე მოსახლეობა მდგრად სამშენებლო ნარჩენებს უმოწყალოდ ჰყრის და დასახლება თითქმის ნაგავსაყრელად გადააქციეს.

სამშენებლო ნარჩენი რომ აუცილებლად უნდა გაიტანონ, ამ აზრს მუნიციპალიტეტის გამგებელიც ეთანხმება. თუმცა ვალერიანე ფოცხვერია არც იმის თქმას ერიდება, ქალაქის დამნაგვიანებლები კანონს უხეშად რომ არღვევენ და სათანადოდ უნდა იქნენ დაჯარიმებულნი. პარალელურად მუნიციპალიტეტის გამგებელი თავის დაქვემდებარებაში მყოფ სამსახურებს გააქტიურებისაკენ კატეგორიულად მოუწოდებს. "ერთი კომუნალური რომ საკმარისი არ არის, ეს სამტრედიას უკვე ეტყობა." _ დასძენს ვალერიანე ფოცხვერია.

თათბირზევე შეთანხმდნენ, ზემოთ ჩამოთვლილი ქუჩებიდან სამშენებლო ნარჩენები ან ადგილზე გაასწორონ, ან მოხდეს მისი გატანა. კომუნალური გაერთიანების დირექტორის, კობა ბიბილეიშვილის განმარტებით, ამ უკანასკნელის შემთხვევაში ტექნიკის დამატება გახდება საჭირო.

ვებრძოლოთ შიდსს!

თეა ბაბუნაშვილი

დეკემბერის პირველივე დღის სუსხი და წვიმა საკუთარ თავზე გამოსცადეს "ახალი გზის" წარმომადგენლებმა. ეს იმიტომ, რომ შიდსთან ბრძოლის საერთაშორისო დღეს, ანუ პირველ დეკემბერს, ფსიქოლოგიური ინფორმაციისა და კონსულტაციის ცენტრის სამტრედიის ფილიალის თანამშრომლები ქუჩაში მსვლელობით თითქმის ყველა გამვლელს აწვდიდნენ ინფორმაციას აივ ინფექციისა და მასთან ბრძოლის გზების შესახებ. შიდსით დაშინებულ საზოგადოებას უხსნიდნენ, რომ ეს დაავადება უკვე აღარ არის სასიკვდილო განაჩენი, იგი განკურნებადია, მაგრამ მას, ისევე როგორც ნებისმიერ, თუნდაც, სულ "უწყინარ" სენს, დროული პროფილაქტიკა და მკურნალობა სჭირდება.

პირველ დეკემბერს, შიდსთან ბრძოლის სამხრეთ კავკასიის პლატფორმის

ქართული ჯგუფი ექვს ქალაქში _ თბილისი, ქუთაისი, სამტრედია, გორი, თელავი, ბათუმი _ ერთდროულად მართავდა აქციებს. მასში გაერთიანებული ხუთივე ორგანიზაცია არასამთავრობო გახლავთ _ C ჰეპატიტით დაავადებული ადამიანების თვითორგანიზაცია "ჰეპა პლუსი", ქალთა საერთაშორისო ორგანიზაცია "აკესო", კავშირი "ნაბიჯი მომავლისკენ", კავშირი "იმედი" და ფსიქოლოგიური ინფორმაციისა და კონსულტირების ცენტრი "ახალი გზა".

უკვე 15 წელია, ქვეყნის მასშტაბით სამოქალაქო სექტორისა და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ აქტიური მუშაობა მიდის აივ ინფექცია შიდსი და C ჰეპატიტის პრევენციისა და მკურნალობის ხელმისაწვდომობისთვის. დაავადებების მაღალი რისკის ჯგუფების სკრინინგის პროცესში ჩასართავად მათი ინფორმირებულობა უპირველესი პროცესია. რაც შეეხება უშუალოდ იმ აქციას, სამტრედიის ქუჩებში დეკემბრის პირველსავე დღეს რომ გაიმართა, როგორც "ახალი გზის" სამტრედიის ფილიალის ხელმძღვანელი ნანა კოხრეიძე ამბობს, მიზანი გახლდათ, "საზოგადოების ყურადღება მიეპყრო შიდსის პრობლემისა და სამოქალაქო სექტორის მნიშვნელოვან როლზე მის პროფილაქტიკაში. გაევრცელებინა ინფორმაცია იმ საფრთხეებსა და გამოწვევებზე, რომელიც საქართველოში, სამხრეთ კავკასიასა და მთლიანად მსოფლიოში არსებობს. დაინტერესებული პირებისათვის მიეწოდებია ინფორმაცია იმ უფასო სერვისების შესახებ, რომელსაც მათ ჩვენი არასამთავრობო ორგანიზაციები სთავაზობენ." მისი ინფორმაციით, დღეისთვის სამტრედიაში ხუთი აივ ინფიცირებული ბენეფიციარია, ოთხი მამაკაცი და ერთი ქალბატონი. ქალბატონი და ერთი მამაკაცი პარტნიორები არიან. აქვე ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ აივ ინფიცირებული არ ნიშნავს შიდსით დაავადებულს. შიდსი დაავადების ბოლო სტადიაა. ნანა კოხრეიძე აღნიშნავს, რომ "ჩვენს ფილიალში აივ ინფექციის ტესტირება და თერაპევტის, ფთიზიატრის, ქირურგის, ინფექციონისტის უფასო კონსულტირებაა შესაძლებელი. უფასოა გარკვეული მედიკამენტებიც. ჩვენი ოფისი რესპუბლიკის ქუჩის 5 ნომერში მდებარეობს. პაციენტთა ანონიმურობა გარანტირებულია."

ორ დეკემბერს, ანუ აქციის მეორე დღეს, ამბულატორიულად უფასოდ უღებდნენ ანალიზს ნებისმიერ მსურველს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული სახლის მიმდებარე ტერიტორიაზე. აქცია იგივე არასამთავრობო ორგანიზაციის ეგიდით ჩატარდა. "ახალი გზის" სოცმუშაკი ნათია ხონელიძე ნებისმიერი მსურველისთვის აანონსებდა უფასო

მომსახურებას C ჰეპატიტსა და აივ ინფექციაზე. "მსურველი იმაზე მეტი აღმოჩნდა, ვიდრე გვეგონა, რომ იქნებოდა. სასიამოვნოა, ისიც, ბევრი მოქალაქე რომ გვეუბნება, ტესტი უკვე გაკეთებული მაქვსო."

"აივ ინფექცია სასიკვდილო განაჩენი არ არის და მისი მკურნალობა შესაძლებელია; შიდსი უკვე ბოლო სტადიაა დაავადების და მისით ინფიცირების შემთხვევაში პაციენტის სიცოცხლისუნარიანობა ძალიან იკლებს; ყველანაირი მკურნალობა აივ ინფექციისა უფასოა, მას სახელმწიფო აფინანსებს; საწყის ეტაპზე იგი განკურნებადია." _ უხსნიდა შესაბამისი ტესტის გასაკეთებლად მისულთ "ახალი გზის" კონსულტანტი ნესტორ მაისაძე.

იმ დღეს მობილურ ლაბორატორიაში მსურველებისთვის ლაბორანტი ქეთი ბოლქვაძე მუშაობდა.

პროექტის, "აივ ინფექცია შიდსის საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციების გაძლიერება", ფინანსური მხარდამჭერები, საქართველოს გაეროს ასოციაცია და აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტო USAID-ი გახლდნენ.

საქართველოს ხუთი ქალაქიდან სამტრედია ერთ-ერთი იყო, პირველი დეკემბერს შიდსთან ბრძოლის საერთაშორისო დღე მასშტაბურად რომ აღნიშნა.

3 დეკემბრის ერთობლივი "ლამპარში"

სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგეობა, კერძოდ, განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური ტრადიციულად, ყოველი წლის 3 დეკემბერს სტუმრობს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა დღის ცენტრ "ლამპარს", რომელიც პირველი ბაგა-ბაღის შენობაშია განთავსებული.

ქუთაისის განათლების განვითარებისა და დასაქმების ცენტრის დაქვემდებარებაში მყოფი არასამთავრობო ორგანიზაცია სამტრედიაში 9 წელია ფუნქციონირებს. ამჟამად 16 ინკლუზიური ბენეფიციარი ჰყავთ.

"სამტრედიის მაცნეს" მკითხველს შევახსენებთ, რომ 3 დეკემბერი შშმ პირთა საერთაშორისო დღეა, რომელიც სამტრედიის მუნიციპალიტეტში ტრადიციულად ყოველწლიურად აღინიშნებოდა. დღის ცენტრ "ლამპარში" ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები ბენეფიციარებს მზრუნველობის გარეშე არც სხვა დღესასწაულებზე ტოვებენ.

რაც შეეხება 3 დეკემბრის ღონისძიებას, მუნიციპალიტეტის გამგებელმა, ვალერიანე ფოცხვერიამ, საკრებულოს თავმჯდომარემ, ნუგზარ ჯამბურიამ "ლამპარელებს" სპეციალური საბავშვო ლიტერატურა და ტკბილეული მიართვეს. სტუმართა შორის იყვნენ ანსამბლ "იმედის" უფროსი თაობის მომღერლები, რომლებმაც საზეიმო განწყობა შეუქმნეს ბავშვებს.

ღონისძიებას ორგანიზებას უწევდა სამსახურის უფროსი, ნატალია მანჯგალაძე.

იმ დღეს შშმ ბავშვთა საერთაშორისო დღე ცენტრ "ლამპარში" გაატარა საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარმა წევრმა, გრიგოლ მიქელაძემ. დღის ცენტრის აღსაზრდელებმა თექისაგან დამზადებული თავიანთი ხელნაკეთი საჩუქრები გადასცეს მუნიციპალიტეტის გამგებელსა და პარლამენტის დეპუტატს, რომლებმაც ცენტრის აღსაზრდელების მიმართ სიყვარული და პატივისცემა გამოხატეს.

გრიგოლ მიქელაძემ მისი მხრიდან დღის ცენტრ "ლამპარის" თანამშრომლებს და აღსაზრდელებს ცალკეული პრობლემების მოგვარების საკითხში დახმარება აღუთქვა.

ნინო ნანიტაშვილი

შიდსი დიაგნოზია და არა განაჩენი!

ნინო ნანიტაშვილი

შიდსთან ბრძოლის მსოფლიო დღეს საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების სამტრედიის ფილიალი თავისი აქტივობით გამოეხმაურა. მოხალისეებმა სამტრედიის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლთან არსებულ მოსწავლეთა პარლამენტის წევრებთან ერთად პირველ დეკემბერს საინფორმაციო ბუკლეტები გაავრცელეს. ბუკლეტებში განთავსებული იყო ინფორმაცია შიდსის გადაცემის გზებზე, სიმპტომატიკაზე, ინფიცირებისაგან თავდაცვაზე. მოხალისეები

შიდსთან ბრძოლის სიმბოლოს _ წითელ ლენტს ატარებდნენ.

როგორც წითელი ჯვრის სამტრედიის ფილიალის ხელმძღვანელი ნათია პაპავა განმარტავს, აქციის მიზანია, საზოგადოებამ შეიმეცნოს პრობლემის აქტუალობა, ადამიანებმა გააცნობიერონ შიდსის რეალური საფრთხე, შეამცირონ საზოგადოებაში აივ ინფექციასთან ასოცირებული სტიგმა _ დისკრიმინაცია და კიდევ ერთხელ შეახსენონ მას, რომ შიდსი დიაგნოზია და არა განაჩენი".

წითელი ჯვრის სამტრედიის ფილიალმა მორიგი აქტივობა 3 დეკემბერს, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვის საერთაშორისო დღეს განახორციელა. ბინაზე მოვლის ჯგუფის წევრებმა ჰიგიენური საშუალებები და ტკბილეული გადასცეს შშმ სოციალურად დაუცველ ბენეფიციარებს.

"3 დეკემბერს მსოფლიო შშმ პირთა უფლებების, თანასწორობის, ღირსების პატივსაცემად აღნიშნავს. მათი ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებისა და უფლებების რეალიზაციის თვალსაზრისით საზოგადოების ერთიანობასა და ერთსულოვნებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. დავეხმაროთ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანებს მათ მიმართ არსებული გამოწვევების დაძლევაში, შევქმნათ გარემო, სადაც ადამიანები გამოავლენენ თავიანთ შესაძლებლობებს". _ "სამტრედიის მაცნესთან" კომენტარში განაცხადა წითელი ჯვრის სამტრედიის ფილიალის დირექტორმა ნათია პაპავამ.

ღირსეულთა ღირსეულად დაფასება

იციან ჩვენში, საქართველოში, სამტრედიაში.

არაერთხელ დაწერილა, თქმულა იმ ღვაწლზე, რაც ბატონმა **ვალერიანე კოპალეიშვილმა** შეიტანა რაიონის განვითარების საქმეში.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრმა პაატა კოხრეიძემ საზოგადოება "სამტრედიელს" საკრებულოს წინაშე უშუამდგომლა, რათა კოსტავას ქუჩაზე (ყოფილი ხის კომბინატის დასახლებაში) ერთ-ერთ სკვერს **ვალერიანე (ვალიკო) კოპალეიშვილის** სახელი მიენიჭოს, შემდეგ კი იქვე ბიუსტიც დაიდგას.

საკრებულოსთან არსებულმა სახელდების კომისიამ, რომელსაც საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე კობა ძიძიგური ხელმძღვანელობს დებულების თანახმად, კოსტავას ქუჩის მოსახლეობასთან კონსულტაციები გამართა.

ისინი მიესალმებიან სკვერისათვის ვალიკო კოპალეიშვილის სახელის მინიჭებას, სკვერში ბიუსტის დადგმას და დამატებით მოითხოვენ კიდეც, რომ იქვე არსებულ საბავშვო ბაღს, რომელიც წინათ ვალიკო კოპალეიშვილის სახელობის იყო, კვლავ აღუდგეს სახელწოდება და შესაბამისად იწოდოს როგორც ვალიკო კოპალეიშვილის სახელობის საბავშვო ბაღი". _ განუცხადა "სამტრედიის მაცნეს" სახელდების კომისიის თავმჯდომარემ ბატონმა კობა ძიძიგურმა.

ლევან გაბეჩავა

ადგილი, სადაც ილახება ჩვენი ჯანმრთელობა, თავმოყვარეობა, კულტურა...

ადგილი, სადაც მტვერსა და ტალახში გაფენილ სურსათ-სანოვაგით "ვიწონებთ" თავს.

იქნებ დროა, მყიდველმაც და გამყიდველმაც უარი ვთქვათ ღირსების შელახვაზე, უარი ვთქვათ მტვერსა და ტალახში ამოსვრილ ხილსა და ბოსტნეულზე, ნაგვის ურნებთან წყებად დაწყობილ ყველსა და რძის სხვა პროდუქტებზე.

ვავუფრთხილდეთ საკუთარ ჯანმრთელობას და ჩვენს ქალაქს!

შეჩერდი, ლარო!

ლარს ყავარჯნები სჭირდება,
დოლარს კუდი აქვს ყავარზე,
ხალხი კი იმის ფიქრშია _
როგორღა შეხვდეს ახალ წელს?
არა, საქმე სასაცილოდ რომ არაა, ნამდვილად, ვხვდებით.
თავსატეხი რომ ბევრი გაუჩინა არა მარტო ფინანსისტებს 20 წლის ლარმა, ცხადია.
განახლებული კუპიურებით პრობლემას რომ ვერ უშველეს, ესეც ნათელია.
ხალხის აღშფოთება-შეშფოთება ჩვეულებრივი მოვლენაა.

ახლა, როცა ამ სტრიქონს ვწერ, მართალია, შუაღამე არც იწვის და არც დნება, მაგრამ, როცა ქვეყნის ფინანსური გუნდი სასიკეთოს ვერაფერს გვეუბნება, რბილად რომ ვთქვათ _ დამაფიქრებელია!!!

რაკი ევროპის ჰავანაყლაპ, ევროპის წამყვან უნივერსიტეტებში ცოდნამიღებულთ არ ძალუძთ ლარის დამორჩილება, ჩვენ რისი მაქნისები ვართ?

თუ ასე გაგრძელდა...
რა გვეშველება?
ვუშველოთ ლარს,
ვუშველოთ ხალხს,
შეჩერდი, ლარო!

ლევან გაბეჩავა

ცოცხალი ლეგენდები ბევრი ლიცენზიით ვეცხრილებ ამ ცოცხალს!

ნათია ნაცვლიშვილი

საქართველოში ეროვნული მოძრაობის გამოღვიძების, ეროვნული ხელისუფლების გამარჯვების, მერე _ დამხობის, ძმათამკვლელი ომის გაჩაღების... მოწმე ჩვენი გაზეთიცაა, მისმა ფურცლებმა შემოინახეს უახლესი ისტორიის ეს დრამატული ამბები. ამ გაზეთის სასახელოდ შემდეგი შეიძლება ითქვას: 1993 წლის შემოდგომაზე, როცა განდევნილი ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების მომხრეებმა სამტრედია და ხონი რამდენიმე დღით დაიკავეს, "სამტრედიის მაცნემ" მკითხველს პირველივე გვერდზე აუწყა კანონიერი ხელისუფლების აღდგენა ხონსა და სამტრედიაში, რასაც რედაქციის შემოქმედებითი გუნდის დაშლა მოჰყვა შედეგად.

86 წლის, მრავლის მომსწრე და ვადამტანი "სამტრედიის მაცნე" ახალ რუბრიკას იწყებს: "ეროვნული მოძრაობის ისტორია სამტრედიაში". იმ უმძიმეს წლებს გაიხსენებენ ადამიანები, რომელთაც უდიდესი ღვაწლი მიუძღვით ეროვნული მოძრაობის აღმავლობაში, რომელთაც მძიმე დღეები გამოიარეს, ისინი ასევე ტკივილით იხსენებენ მათ, ვინც საკუთარი სიცოცხლე ზვარაკად შესწირა სამშობლოს.

ჩვენი პირველი სტუმარი ზურაბ ანდღულაძეა:

_ ბატონო ზურაბ, როდის და როგორ ჩაებით ეროვნულ მოძრაობაში?

_ გახლავართ ზვიად და კობა ძიძიგურების თანამოაზრე. მიტინგების პერიოდში აქტიური არ ვყოფილვარ, მაგრამ აფხაზეთის ომი რომ დაიწყო, ჩვენ ერთად ვიყავით ყველა ოცდამეოთხე ბატალიონში. ვიდრე იქ წავიდოდი, ქვის საამქროს ვხელმძღვანელობდი, პროფესიით მშენებელ-ინჟინერი გახლავართ. ჩვენთან ერთად ბატალიონში 70-მდე ადამიანი იყო, მე ოფიცერი, ლეიტენანტი გახლდით, ჩვენი ბატალიონის ხელმძღვანელი აწ განსვენებული სულიკო ალფაიძე იყო. ანაკლიაში ვიყავით დაბანაკებულნი, გავდიოდით სწავლებებს. როცა ტამიშზე გადმოვიდნენ და დესანტი გადმოსხეს, გავდიოდით ჯგუფები და ვეხმარებოდით ზვიად გამსახურდიას მომხრე გვარდიას, რომელსაც ლოთი ქობალია ხელმძღვანელობდა.

_ პატრიოტული განცდა და მისწრაფება კმაროდა მხოლოდ? რამდენად იყავით აღჭურვილნი სამხედრო ცოდნით, ქაოსური და სპონტანური ხომ არ იყო თქვენი ქმედებები?

_ ყველანი ზრდასრულები ვიყავით და გააზრებული გვქონდა ყველაფერი. მე 34 წლისა ვიყავი, ომში რომ მიდიხარ ადამიანი, იარაღს ხელს ჰკიდებ და ფარაჯას იცვამ, ყველაფერი აწონილ-დაწონილი გაქვს. ყველას ერთი სურვილი გვქონდა: სამშობლო დაგვეცვა, მაგრამ ბევრი გვესმოდა ჩვენს მიმართ უსამართლო ბრალდებები, რომ, მაგალითად, იქ იარაღისათვის წავედით, იმხანად ბევრი გაუგებარი ფორმირება არსებობდა ქვეყანაში.

_ რა იყო თქვენი ბატალიონის მთავარი, იდეური მამოძრავებელი ძალა?

_ ამ ბატალიონში, ძირითადად, ვიყავით ერთგული ადამიანები, ზვიადისა და კობას უახლოესი მეგობრები, ბოლომდე ვიყავით, პირადად მე მანამ ვიყავი, ვიდრე ტყვედ არ ამიყვანეს. ეს მოხდა მაშინ, როცა მოვახდინეთ ხონის ე. წ. გათავისუფლება სამთავრობო ჯარებისაგან. ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების აღსადგენად რომ შემოვედით, თავს დაგვესხნენ მხედრიონის და გვარდიის ნაწილები, ალყაში მოგვაქციეს, დაიწყო გააფთრებული შეტევა, ძალიან სერიოზული შეტევა იყო. დავიხიეთ უკან, მე სულიკო ალფაიძესთან ერთად დამჭრეს, მხედრიონელებმა ტყვედ აგვიყვანეს და ხონში წაგვიყვანეს. ჩვენი დახვრეტა სურდათ, ჩაგვკეტეს ძველი სასაფლაოს ტერიტორიაზე, ჩვენთან ერთად იყვნენ კიდევ წყალტუბოელი ბიჭები, ასევე იყო სამტრედიელი რამაზ ჯინჭველეიშვილი. ამ დროს სენაკიდან შემოვიდნენ ჩვენი მომხრეები BMP-ით ჩვენს გასათავისუფლებლად, სულიკო გაიყვანეს, ისინი რომ გაეჩერებინათ, სროლა არ ატეხილიყო. მას მერე სულიკო ცოცხალი არ მინახავს. ხონში ჩვენი პირველი დახვრეტა რომ არ განხორციელდა, სასაფლაოდან წამოგვიყვანეს, ქუთაისში კაპეზეში ჩასაბარებლად. ვხედავ, სულიკო ალფაიძე ხონის სასაფლაოს გზაზე დამხობილი მკვდარი გდია. სულიკოს საბუთები მომცეს, ვუთხარი, რას ერჩოდით, რატომ მოკალით-მეთქი? გაიქცა და ზვიად გამსახურდიას სურათი ჰქონდაო. სურათის გამო კაცი როგორ მოკალით-მეთქი. 7-დან უკვე 6-ნი დავრჩით, მოემზადნენ ჩვენს დასახვრეტად, შემთხვევამ გვიხსნა: ის წყალტუბოელი ბიჭები წყალტუბოს მხედრიონის წევრებმა იცვნეს და უარი თქვეს ჩვენს დახვრეტაზე. ეტყობა, მეგობრები იყვნენ და გადაიფიქრეს. ჩაგვაბარეს ქუთაისის უშიშროებას, სადაც ჩვენი დაკითხვები მიმდინარეობდა, დეტალურად იმ ამბების გახსენებას გაზეთის ფურცლები არ ეყოფა. ხონიდან ქუთაისში რომ გადმოგვიყვანეს, აწ განსვენებულმა ზურაბ ყვანიამ თქვა: აი, მოვიყვანეთ, ცოცხლად ავიყვანეთ ადამიანები, ვინც ჩვენს მტერს აფხაზეთი ჩააბარაო. ეტყობა, ეს პიარისთვის დასჭირდათ. დაგვსხეს ყველანი ქუთაისის პრეფექტურის შუა დარბაზში. მოდიოდა ხალხი, ზოგი გვათვალიერებდა, წრეს გვირტყამდნენ, როგორც მიცვალებულებს დაარტყამენ წრეს, ზოგი იფურთხებოდა... ავტომატიანები გვადგნენ თავზე, რას ვტყოდით? დარტყმა არავის უკადრებია.

შენობიდან რომ გამოგვიყვანეს, ეს ის პერიოდია, ქუთაისში დევნილთა უდიდესი ნაკადია შემოსული, პარალელურად მოედინება და მოედინება. როგორია, ამ დროს დაგვერქვა აფხაზეთის ჩამბარებლის სახელი! ქუთაისის პრეფექტურიდან რომ გამოვყავდით, ხალხის, ისეთი გუგუნი იყო, ჩვენი ლინჩის წესით გასამართლებას აპირებდნენ. კიტოვანმა, რომელიც იმხანად მეთაურობდა გვარდიას, გააძლიერა ჩვენი დაცვა, რომ ჩვენ არ გაგვსწორებოდნენ. შეგვყარეს ავტობუსში, ხალხი დესია ავტობუსს, უნდოდათ მისი გადაბრუნება, კიტოვანის ბიჭებმა ჰაერში ისროლეს, ხალხი ავტობუსს მოშორდა. როგორც ჩანს, კიდევ რაღაცის შიში ჰქონდათ, თორემ არა მგონია, ჩვენი დახმარება ნდომოდათ. ამის მერე კაპეზეში გადაგვიყვანეს. ერთერთი დაკითხვისას ე. წ. კაპეზეში შემოცვივდნენ შავნაბადის ბატალიონის წევრები და ჩვენი გათავისუფლება მოითხოვეს. მაშინ კობა კობალაძე შავნაბადის ბატალიონის ხელმძღვანელი იყო, მასთან ზვიად ძიძიგურს ძალიან კარგი ურთიერთობა ჰქონდა და ზვიადი მასთან მოლაპარაკებებს აწარმოებდა. იმხანად შავნაბადის ბატალიონის წევრები აყვანილი ჰყავდათ ფოთში ჩვენს ბიჭებს და უნდა მომზდარიყო ჩვენი გაცვლა. ამიტომაც გამოგვიყვანეს ქუთაისის კაპეზედან. გადაცვლა სამტრედიასა და მარანს შორის უნდა შემდგარიყო, მაგრამ ეს ასე არ მოხდა, რადგან ამ დროს შემოსვლა დაიწყეს ჩვენმა ბიჭებმა, ატყდა სროლა, უცებ მოგვაბრუნეს და წაგვიყვანეს თბილისში, სადაც მოვხვდით შავნაბადას ბაზაზე, ვიყავით სინდისის პატიმრები, მაგრამ კობალაძე ძალიან კარგად გვექცეოდა.

_ ეროვნული ხელისუფლების მომხრეებმა ხონსა და სამტრედიაში მხოლოდ რამდენიმე დღე დაჰყვეს, თქვენ ამ მარცხის შემდეგ სასწაულებრივად გადაურჩით სიკვდილს...

_ 4-5 დღე გაჩერდნენ, ამდენივე დღე დავყავით ჩვენ შავნაბადაზე. უკვე მეორედ, შავნაბადადან რომ წამოგვიყვანეს გადასაცვლელად, ვიდრე სამტრედიაში შემოვიდოდთ, უკვე აშკარად ჩანდა, რომ ჩვენი ხელისუფლება განდევნილი იყო. ქუჩაში ისმოდა სროლები, მიწაზე ეყარა გვამები, დახვრეტილი ბიჭები მიმოფანტულნი იყვნენ. რომ მოვედით ადმინისტრაციულ შენობასთან, იმხანად პრეფექტურასთან, კობა კობალაძესა და ზვიად ძიძიგურს შორის ისევ შედგა საუბარი, ისევ შეთანხმდნენ, სამტრედიასა და მარანს შორის მოხდებოდა გადაცვლა, მოგვიყვანეს ე. წ. ხდკ-ს დასახლებაში, საცხოვრებელი კორპუსების ავტოფარეხებთან, იქაც მხედრიონელებმა ჩვენი დახვრეტა მოინდომეს. ვინმე ბიწკინაშვილს შავნაბადიდან უნდა მოეხდინა ჩვენი გადაცვლა. მალე მოვიდა კობალაძე, მანამდე კი ექვსივე ადამიანი ზვიადმა უპირობოდ გაუშვა თავიანთ ოჯახებში, პატიოსანი სიტყვა მისცა კობალაძეს და შეასრულა. მერე, ჩვენც უპირობოდ გაგვათავისუფლეს.

_ ამის მერე როგორ გრძელდება თქვენი ოდისეა?

_ იწყება დევნა, შევიწროვება. ჩემი მეუღლე, ნინო მჟავანაძე სკოლაში რუსულ ენას ასწავლიდა, ის სამსახურიდან დაითხოვეს. აქ ოჯახის გაჩერება შეუძლებელი იყო, წავედით მოსკოვში, სადაც დღემდე ვცხოვრობ შვილთან და შვილიშვილთან ერთად.

_ ამ გადასახედიდან რისი თქმა შეგიძლიათ? შეიძლებოდა, სამოქალაქო ომის თავიდან აცილება?

_ რა თქმა უნდა, შეიძლებოდა, რა უნდოდათ აფხაზეთში? ისინი იქ იმიტომ შევიდნენ, რომ იქ იყვნენ ზვიად გამსახურდიას მომხრეები. ეშინოდათ, ისინი იქ შეიკრიბებიან, ძალას მოიკრებენ და შემოგვიტევენო. შერიგება შეიძლებოდა და შევრიგდით კიდეც ჩვენ და მხედრიონი აფხაზეთის ომის დროს. მახსოვს ის მომენტები, ოჩამჩირეში დიდი სუფრა გაიშალა, მაგრამ ეტყობა, ვიღაცას არ მოეწონა ჩვენი შერიგება.

_ იმ ადამიანებს თუ შეხვედრიხართ გარკვეული დროის მერე, ვინც სასიკვდილოდ გაგიმეტათ?

_ გადამრჩენების გარდა ვერავის ვნახულობ.

_ რას იტყვით ეროვნულ ხელისუფლებაზე, რამდენად ღირსეულ საქმეს ემსახურებოდით?

_ მჯეროდა და დღესაც მჯერა, ის ადამიანები მართლები იყვნენ. მთელი ის პერიოდი მშივრებმა გავატარეთ. ნორმალური საჭმელი კი არა, არანორმალურიც არ გვიჭამია. ოჩამჩირეში, სადაც სამხედრო შტაბი იყო, ვიღაცეებს მოჰქონდათ მცირე საჭმელი, ჩვენ ჯარისკაცებს არათუ საკვები, სამხედრო აღჭურვილობაც არ გვქონდა. ტამიშთან ბრძოლაში სამტრედიელი კირილე რევიშვილი დაიღუპა, მას რკინის ჩაფხუტი რომ ჰქონოდა, გადარჩებოდა, "სნაიპერის" ტყვია მოხვდა კისერში. წარმოიდგენთ, ასეთი მშიერი ადამიანები იარაღით ხელში! არ ყოფილა ერთი შემთხვევაც კი, ზვიადისტების მხრიდან ვინმეს საჭმელი მოეპარა. მშიერმწყურვალნი ვიყავით, ზვიად ძიძიგურს ხშირად ეპატიჟებოდნენ სუფრებზე, აფხაზეთის ომი მიმდინარეობდა, ჩვენც ნელ-ნელა ვერთვებოდით ბრძოლებში, ზვიადს ჩვენ არასოდეს მივუტოვებივართ, ის ხალხს ეუბნებოდა, თუ პურ-მარილი გაქვთ, ამ ბიჭებთან მოიტანეთო. ასე ლუკმა უამრავ ადამიანს გაგვიყვია.

_ ანაკლიაში არ გშიოდათ?

_ აბა რა, შიმშილით ვიხოცებოდით, მახსოვს, ერთხელ ზვიადმა მოსახლეობაში თევზსაჭერი ბადე ინათხოვრა, იქაურებმა დაგვცინეს, აქ არავის არაფერი დაუჭერიაო. მოვუსვით ეს ბადე და 60 კილოგრამი თევზი დავიჭირეთ. ბევრი გაგვექცა კიდეც, მოსახლეობასაც ეშინოდა, დახმარება რომ გაეწიათ ჩვენთვის, შეიძლება, ვინმეს უნდოდა კიდეც დაგვხმარებოდა.

_ ზვიად გამსახურდიასთან შეხვედრას როგორ გაიხსენებთ?

_ მასთან არასოდეს მისაუბრია, კარგი ადამიანი იყო, სოხუმი რომ დაეცა, ზვიადი ემუდარებოდა სამთავრობო გვარდიის გაქცეულ ჯარისკაცებს, აგერ, ოჩამჩირეში გადმოვიტანოთ ფრონტის ხაზიო, მერე ფორმაც ჩაიცვა, არაფერი გამოუვიდა. დაყარეს იარაღი და წავიდნენ, სამთავრობო გვარდიის ჯარისკაცებმა, თავს უშველეს. ჩემზე უკეთ იმ წლებს ის ბიჭები გაიხსენებენ, ფეხშიშველი რომ ირბინეს და ჩვენზე მეტი წამება ნახეს, შევარდნაძის მთავრობა ბრძოლით რომ მიდევნიდა, გზაში ხოცავდნენ. მახსოვს, ქუთაისში ჩვენი ტყვედ ყოფნისას კობალაძე ჩამოვიდა და გამოგვიცხადა: ჩვენზე არ დაგწყდეთ გული, გადაეცით თქვენს მეგობრებს, ახლა ვესწრებოდი რუსის ჯართან ყვანიასა და სიგუას მოლაპარაკებებს, რუსის ჯარი უკვე ჩაერთო კანონიერი ხელისუფლების დევნაში, და დაიწყო ბრძოლები სამტრედიაში, აბაშაში, სენაკშიო. კი, გვხვრეტდნენ, მაგრამ გადავრჩით, ვინ როგორ დააღწია თავი სიკვდილს! რამდენი მდინარეს ცელოფანში გახვეული მოჰქონდა! მურმან შენგელია, შალვა ცინცაძე, ლევან ფაღავა და სხვები...

მე და მსახიობი გია სტურუა ბავშვობიდან ვმეგობრობთ, მან გამაცნო ზვიად და კობა ძიძიგურები. მე და გია ერთ ბინაში ვცხოვრობდით, იმ დაპირისპირებების პერიოდში თურმე 2-3 მეზობელი შეკრებილა და დაუწერიათ: გია სტურუა და ზურაბ ანდღულაძე გავასახლოთ ჩვენი საცხოვრებლიდანო. არავინ ხელი არ მოუწერა თურმე მათ ამ განცხადებაზე. ალბათ, სიკვდილამდე, ბოლომდე დავრჩები ზვიადისტად და დიდი სიამოვნებით ვატარებ ამ ტიტულს ვამაყობ იმით, რომ ვიყავი ამ ბიჭების გვერდით.

_ დღესდღეობით რას საქმიანობთ?

_ მოსკოვში ვცხოვრობ და მშენებლობას ვეწევი. ვიმედოვნებ, სულ მალე აუცილებლად დავბრუნდები ჩემს სამტრედიაში.

სამტრედია იოანე და თემურ ვაშაკიძეების სახელობის მუნიციპალიტეტის მემორიალს უმასპინძლებს

ინტელექტუალური თამაშების ჩემპიონატი, რომელიც ჩვენს მუნიციპალიტეტში ტრადიციულად რამდენიმე წელია მიმდინარეობს, წლეულს სამი ტიპის თამაშს მოიცავს, ესენია: "რა? სად? როდის?" "ბრეინ რინგი" და "ჯეპარდი". გასულ წელს ჩემპიონატი ორი თამაშით შემოიფარგლა, ამჯერად _ ჯეპარდიც დაემატა. სიახლეა ისიც, რომ ჩემპიონატი შარშანდელთან შედარებით გაცილებით მასშტაბური იქნება: ადგილობრივი მუნიციპალიტეტის გუნდებს საქართველოს სხვადასხვა მუნიციპალიტეტების გუნდებიც შეუერთდებიან.

ამ მასშტაბურობამ ლოკაციის შეცვლაც განაპირობა, თუკი აქამდე ჩემპიონატს მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი მასპინძლობდა, წლეულს მას რესტორანი "ცისკარი" უმასპინძლებს. ვფიქრობთ, მართლაც ღირსეული გადაწყვეტილება მიიღეს ჩვენი მუნიციპალიტეტის კულტურის სფეროს წარმომადგენლებმა, როცა ინტელექტუალური თამაშების ტრადიციული ჩემპიონატი სულ ახლახან ტრაგიკულად გარდაცვლილი ძმების _ **იოანე და თემურ ვაშაკიძეების სახელებს დაუკავშირეს.** "სამტრედიის მაცნემ" კომენტარი მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსს, **ნატალია მანჯგალაძეს** სთხოვა:

"მუნიციპალიტეტი 2 წელია ატარებს ამ ჩემპიონატს, როგორც ჩვენი მუნიციპალიტეტის ორგანიზაციების და სკოლების, ისე სხვა მუნიციპალიტეტების გუნდებს შორის. წლეულს გაიმართება "რა? სად? როდის?" "ჯეპარდი " და "ბრეინ რინგი". ეს იქნება სულ ახლახან ტრაგიკულად დაღუპული ძმების, თემურ და იოანე ვაშაკიძეების სახელობის მუნიციპალური მემორიალი. ჩვენს სამსახურში გაჩნდა ინიციატივა, ამ ნიჭიერი ახალგაზრდების სახელი მიგვენიჭებინა ჩემპიონატისათვის, რასაც მუნიციპალიტეტის გამგებლის მხარდაჭერა მოჰყვა, მოგეხსენებათ, ეს ახალგაზრდები აქტიურად იყვნენ ჩართულნი წინა წლებში ჩვენს მიერ გამართულ ჩემპიონატებში. ამას გარდა, ისინი მონაწილეობდნენ სასკოლო თამაშებში. ამიტომაც წამოვიდა ეს ინიციატივა ჩვენი სამსახურიდან. ამ მემორიალს მუნიციპალიტეტის გამგეობასთან ერთად ორგანიზებას გაუწევს სამტრედიის ინტელექტუალური ნაკრები გუნდის "ინტერსტელარის" პრეზიდენტი, **გიორგი ჩაჩუა**. მემორიალი 24-25 დეკემბერს, სასტუმრო "ცისკარში" გაიმართება. ეს იმიტომ, რომ წლეულს ტურნირში მონაწილეობის მსურველთა რაოდენობა გაიზარდა".

აღნიშნული მემორიალის შესახებ გვესაუბრება მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის სპეციალისტი, გუნდ "ინტერსტელარის" წევრი, **ლაშა ლორია**:

"კითხვების პაკეტის ავტორები სამტრედიის ინტელექტუალთა გუნდ "ინტერსტელარის" წევრები იქნებიან. მონაწილეების რეგისტრაცია უკვე დაიწყო, ჯერ რამდენიმე გუნდია დარეგისტრირებული, სავარაუდოდ, მონაწილეები იქნებიან: სამტრედიის საბანკო სექტორის წარმომადგენელთა გუნდები, სხვადასხვა ორგანიზაციების გუნდები, ბაღდათის, წყალტუბოს, ქუთაისის, ხობის, ბათუმის, ვანის და თბილისის გუნდები. მემორიალის მეორე დღეს ჩვენი კლუბის წევრები გავალთ იოანე და თემურ ვაშაკიძეების საფლავებზე და პატივს მივაგებთ მათ ხსოვნას. ვიმედოვნებთ, ეს ჩემპიონატი, ისევე როგორც წინა ჩემპიონატები, ტრადიციულად, მაღალ დონეზე ჩატარდება.

დიდი მხარდაჭერისთვის მინდა, თქვენი გაზეთის მეშვეობით მადლობა გადავუხადო მუნიციპალიტეტის გამგებელს, ვალერიანე ფოცხვერიას და სამტრედიის მაჟორიტარ დეპუტატს, გია მიქელაძეს."

ნათია ნაცვლიშვილი

თუ ვინმე ფიქრობს, რომ წელიწადში 2250 ლარად კარგ განათლებას მიიღებს, ცდება!

თეა ბაბუნაშვილი

რა პრობლემაა, ტაქსის მძღოლს ჰქონდეს უმაღლესი განათლება?!

კავკასიის უნივერსიტეტის პრეზიდენტმა კახა შენგელიამ, აბიტურიენტებს ქალაქის თითქმის ყველა საჯარო სკოლიდან, სწავლის გასაგრძელებლად საკუთარი სასწავლებელი შესთავაზა. მათთან შეხვედრაზე უნივერსიტეტის პრიორიტეტებს გაუსვა ხაზი. ამ სასწავლებლის მიერ სამტრედიელ სტუდენტებზე გაწეული არაერთი შეღავათი მისი პრეზიდენტის სამტრედიელობის დამსახურებაა.

სასწავლებლის ერთგვარი უფასო რეკლამა გამოგვივიდა ბაზრისა და ფულის ფეხისხმას აყოლილ დღევანდელობაში, მაგრამ მერე რა, საქმე მომავალი თაობის განათლებას ეხება. თუმცა, ჩვენი მიზანი ეს ნამდვილად არ გახლდათ, უბრალოდ, იმ ადამიანის აზრით დავინტერესდით, ვინც დიდი ხანია ახალგაზრდობის განათლების ფერხულშია ჩართული.

ცოტა მძიმედ მოსასმენია აბიტურიენტებისა და სტუდენტებისათვის, განსაკუთრებით მათი მშობლებისთვის, რომ დღეისთვის სწავლის ყველაზე დაბალი საფასური, 2250 ლარი ძალიან ცოტაა კარგი განათლების მისაღებად. მით უფრო მათთვის, ვინც ნამდვილად იცის კარგი განათლების ფასიც და წონაც. ქართული ანდაზა "საბანი იქამდე გასწიე, სანამდეც ფეხი გაგწვდებაო", ამ "ხარჯვით ნაწილში" ნამდვილად არ გამოგვადგება. თუმცა, ჩვენმა რესპონდენტმა ამ საქმეში, ალბათ, მეტი იცის და მისი სიტყვების სიმწვავეც ესმის, ამიტომ გამოსავლის მოსაძებნ გზასაც იქვე სთავაზობს მკითხველს და არა მხოლოდ მას, სახელმწიფოსაც. ერთი კი ცხადია, ვისაც მართლა განათლების მიღება უნდა და არა მხოლოდ დიპლომის აღება, კახა შენგელია საკუთარ სასწავლებელთან ერთად გარკვეულ რჩევებსაც აძლევს.

_ თქვენ და თქვენს კოლეგებს ყველაზე უფრო ხელგეწიფებათ ერთმანეთს შეადაროთ პერიფერიებიდან ჩამოსულ და დედაქალაქელ აბიტურიენტთა განათლების ხარისხი. დიდ ქალაქებში, ამჯერად ვიგულისხმოთ დედაქალაქი, გაცილებით უკეთესი გარემო და შესაძლებლობებია კარგი განათლების მისაღებად. მიუხედავად ამისა, არათუ რაიონების, სოფლების სკოლადამთავრებული მოსწავლეები უკეთეს შედეგებს აჩვენებენ ეროვნულ გამოცდებზე...

_ განსაკუთრებით ბოლო წლებში იყო ბევრი ასეთი ფაქტი. დიახ, ვერ ვიტყვით, რომ დედაქალაქი გამორჩეულად კარგი დონის აბიტურიენტების სამჭედლოა, მაგრამ არც ის იქნება სწორი, რომ არ აღინიშნოს დიდი ქალაქის დონე ზოგადად განათლების მიღებაში. ამჯერად საშუალო განათლება მაქვს მხედველობაში.

_ საქართველოში განათლების მიღება ძვირი რომ არ არის, უცხოელ სტუდენტთა სიმრავლეც მოწმობს. თუმცა, ძვირი არ არის უცხოელებისთვის, ადგილობრივი მოსახლეობისთვის სწავლის საფასური უმაღლეს სასწავლებლებში საკმაოდ მაღალია იმის გათვალისწინებით, რომ ქვეყანაში საშუალო ფენა, ფაქტობრივად, არ არსებობს, მდიდრები და ღარიბები ცხოვრობენ მხოლოდ. არ გეძვირებათ სწავლის გადასახადი?

_ პირიქით, ვფიქრობ, რომ ძალიან იაფია საქართველოში განათლების მიღება. თუ გინდა მიიღო კარგი განათლება, უნდა გყავდეს კარგი ლექტორი. კარგი ლექტორი კი ძალიან ცოტაა და ძალიან ძვირი! თუ ვინმე ფიქრობს, რომ წელიწადში 2250 ლარად კარგ განათლებას მიიღებს, ძალიან ცდება, ეს აბსურდია! განათლების დღევანდელი მინისტრი საკმაოდ ჭკვიანი და ერუდირებული ადამიანია და ვფიქრობ, მოძებნის გამოსავალს ამ კუთხით, მით უმეტეს, რომ შეიძლება, შედარებით უმტკივნეულოდ მოევლოს ამ საქმეს.

_ რას სთავაზობთ მას, თქვენეული მოდელი როგორი იქნება ძვირი განათლების იაფად მისაღებად?

_ თუნდაც ის, რომ მთავრობამ ბიუროკრატული სახელმწიფო აპარატის მდიდრულად შენახვის ნაცვლად განათლების სუბსიდირებასა და დაფინანსებაში დააბანდოს მეტი ფული. განათლებული მომავალი თაობა კი ყველაზე დიდი ინვესტიციაა ქვეყნისთვის. ამაში ახალი არაფერია, მაგრამ აუცილებელია სახელმწიფოს ძლიერებისთვის.

_ მაგრამ ამის გადახდაც ეძნელებათ დღეს აბიტურიენტების მშობლებს და თავად აბიტურიენტებს უწევთ მუშაობა სწავლის საფასურის გადასახდელად. როგორ ფიქრობთ, თავსებადია ერთმანეთთან სწავლა და მუშაობა ერთდროულად?

_ ძალიან ძნელია, მაგრამ შეიძლება. ვფიქრობ, რომ აუცილებელიცაა იმუშაოს სტუდენტმა, რომ უკეთ იგრძნოს როგორი განათლების მიღებაა საჭირო მისი მომავალი ეკონომიკური კეთილდღეობისთვის. ჩვენს სასწავლებელში ხელშეწყობაც აქვთ მათ, მესამე კურსიდან ლექციები საღამოს საათებში უტარდებათ და დღის განმავლობაში შეუძლიათ დასაქმდნენ. დიახ, ძნელია დღე იმუშაო, მერე ლექციაზე წახვიდე და თან იმეცადინო, მაგრამ... კარგი არაფერი მიიღწევა ადვილად!

_ სტუდენტის სტატუსის შეჩერება სწავლის საფასურის გადაუხდელობის გამო საკმაოდ მტკივნეული თემაა. სულ უფრო ხშირად საუბრობენ ამაზე, სახელმწიფოში მოსახლეობის რთული ეკონომიკური მდგომარეობის გამო...

_ ეს მართლაც რთული თემაა და სასურველია, არ იდგეს ამგვარი პრობლემა დღის წესრიგში. ჩვენს სასწავლებელში თითქმის არ არიან სტატუსშეჩერებული სტუდენტები, რადგან თავად ვცდილობთ სხვადასხვა გზების გამონახვას ამ პრობლემის მოსაგვარებლად. გავიმეორებ იმას, რაც უკვე ვთქვი, საძნელო საქმეა, თუმცა სწორად მიდგომის შემთხვევაში არა მოუგვარებელი.

_ რას შეცვლიდით და რას არა განათლების სისტემაში, მინისტრი რომ იყოთ?

_ არ ვარ მინისტრი და ასე კონკრეტულად არ მიფიქრია ამ თემაზე, თუმცა, ბუნებრივია, განათლების სისტემაში ამდენი ხნის მოღვაწეობის გამოცდილებით შემიძლია ზოგიერთ საკითხზე გარკვეული მოსაზრებები მქონდეს. არ შევცვლიდი შეფასებისა და საგამოცდო სისტემას. იმას კი, რაც იმდენად მოძველდა, რომ თანამედროვეობას ვერ ეწევა, შევცვლიდი. კონკრეტულ მაგალითებს ახლა არ მოვიყვან, რადგან მირჩევნია, პასუხის გაცემამდე ფიქრისთვის მეტი დრო მქონოდა. კვლავ ვიტყვი იმას, რომ მჯერა, ჩვენი განათლების მინისტრი ყველა პრობლემას, რაც ქვეყანაში სრულფასოვანი განათლების მიღებას უკავშირდება, ზედმიწევნით კარგად მოაგვარებს.

_ ვთანხმდებით და არ ვდავობთ იმაზე, რომ დიპლომანიით შეპყრობილ საქართველოს ამდენი უმაღლესდამთავრებული არ სჭირდება. რა კეთდება ქვეყანაში იმისთვის, რომ ეს ნაკლი გამოვასწოროთ და განათლების ის ხარისხი ჰქონდეს საზოგადოებას, როგორზეც მოთხოვნილება მეტია?

_ ვერაფერს ვხედავ სადავოს და სალაპარაკოს იმაში, რომ ქვეყანას ბევრი უმაღლესდამთავრებული ჰყავდეს. რა პრობლემაა, ვთქვათ, ტაქსის მძღოლს ჰქონდეს უმაღლესი განათლება, რა დაშავდა ამით?

_ პრობლემა ისაა, რომ ჭეშმარიტად განათლებულები არიან იქ, სადაც არ უნდა იყვნენ და პირიქით, დიპლომისთვის უმაღლესდამთავრებული "პატრონიანები" იქ, სადაც არიან...

_ ეგ უკვე აღარ არის საქართველოში. თუ გაქვს სრულყოფილი განათლება, ჯეროვნად დასაქმდები. ეგ პრობლემა, იქნებ, ერთი პროცენტია დარჩენილი, მეტი არა.

_ ძალიან ბევრს ვიცნობ ჯეროვნად დაუსაქმებელ ერუდირებულს...

_ რაიონებში, ალბათ, შემორჩა ასეთები, დედაქალაქში ძალიან ნაკლებად. ათასი კონკურსები, პროგრამებია, სადაც საკუთარი თავის გამოვლენა ყველას შეუძლია. სამწუხაროდ ეს არის რეალობა, ამიტომ გახდა თბილისი თავკომბალა ქალაქი. სასურველი კი არა, აუცილებელია, განვითარების ეს დონე ქვეყნის მასშტაბით ყველგან ერთნაირად ვრცელდებოდეს.

_ უკვე არაერთი წელია, მხოლოდ საზღვარგარეთ მიღებული განათლება გახდა წარმატების წინაპირობა ქვეყანაში. არადა, ბევრი შემთხვევაა იმისა, რომ უცხოელი სტუდენტები ქართული საგანმანათლებლო სკოლის განსაკუთრებულობას უსვამენ ხაზს. ჩვენს შემთხვევაში კი უცხოურ განათლებას, ძირითადად გაურკვეველი წარმომავლობის სერტიფიკატები და ელექტრონულად უმაღლესდამთავრებული დიპლომები განაპირობებენ. ხომ არ გეჩვენებათ, რომ მეტად უნდა დაფასდეს ქართული უმაღლესი სკოლა?

_ საქმისადმი ასე მიდგომა ნამდვილად არ არის მისაღები, მთავარია, სრულყოფილი განათლება მიიღოს სტუდენტმა, მაგრამ აქვე დავსძენ, რომ ერთი სემესტრი აუცილებელიცაა, ქართველმა სტუდენტებმა საზღვარგარეთ გაიარონ სწავლების კურსი. ჩვენი სასწავლებელი მუშაობს იმაზე, რომ, თუნდაც ჩვენი სახსრებით, ყველა სტუდენტს მისცენ ამის საშუალება, მეტიც, ეს სავალდებულო გახდეს. და იცით რატომ? არა იმიტომ, რომ მერე ეს ფუჭი თავმოწონების საბაბი შეიქნეს, არამედ იმიტომ, რომ ნახოს, რას ნიშნავს ზოგადად განათლების და განსაკუთრებით დასავლური განათლების მიღება. ის სულ სხვა ადამიანი უბრუნდება ქვეყანას. არ ვამბობ, რომ არ გისწავლია უცხოეთში ნაკლია, მაგრამ ჩვენ უკვე აღებული გვაქვს დასავლური კურსი და მას რომ დავეწიოთ, ეს აუცილებელია.

_ ესე იგი, საქართველოში მიღებული განათლებით დასავლურ ცივილიზაციას ვერ დავეწევით?

_ ეს არც მიგულისხმია! მეტსაც გეტყვით, დღეს საქართველოში უმაღლესი განათლება გაცილებით მაღალ დონეზეა, ვიდრე არაერთ აღმოსავლურ ქვეყანაში. ჩვენ კულტურულად უნდა მივუახლოვდეთ ევროპულ ქვეყნებს და ამ სიტყვებში ყველაფერ, მათ შორის განათლების კულტურასაც ვგულისხმობ.

_ ჩანს, განათლების დღევანდელი მინისტრი თქვენი განსაკუთრებული სიმპათიებით სარგებლობს. პირდაპირ გკითხავთ, უნდა ისწავლოს "კომბლე" და "ნაცარქექია" ქართველმა ბავშვმა და რა შავდება საზეპიროების შესწავლით?

_ დიახ, უნდა ისწავლოს, უპირობოდ შევთანხმდეთ ამაში, ქართული ზღაპრები და მათ შორის " კომბლე" და "ნაცარქექია", საზეპიროებიც და საერთოდ ყველაფერი, რაც კარგი დაგვიტოვა ჩვენმა წინაპრებმა. ისიც უნდა ისწავლოს, რაც ცუდი დაგვიტოვა, კარგის და ცუდის გარჩევა რომ შევძლოთ.

25 საუკუნის წინათ ქმნილნენ ქართული ანბანს

კიდევ ერთი სიხარული!

კიდევ ერთი აღიარება!

სასიამოვნო ამბავი გვეუწყა 1 დეკემბერს ქართველებს საინფორმაციო საშუალებებიდან.

"იუნესკოს" 30 ნოემბრის გადაწყვეტილებით, ქართული დამწერლობა _ მხედრული, ასომთავრული, ნუსხური, არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა სიაშია შეტანილი.

რაღა თქმა უნდა, ყოველივე საამაყო და სასიამოვნოა.

მსოფლიოში არსებული თოთხმეტი დამწერლობიდან ქართული ერთ-ერთია, ჩვენი ქვეყნის უძველეს სახელმწიფოებრიობაზე, უძველეს კულტურაზე, სახელოვან ისტორიაზე მეტყველებს ყოველივე.



ჩვენი ერისათვის, ქვეყნისათვის უმნიშვნელოვანესი მოვლენა სრულიად საქართველოს, ქართველ ერს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა მიულოცა.

მოგაგონებთ: მეცხრე საუკუნემდე საქართველოში ასომთავრული დამწერლობა იყო, მეცხრედან მეთერთმეტემდე _ ნუსხური, მეთერთმეტედან დღემდე _ მხედრული.

გიხაროდენ!

ლევან გაბრიჩიძე

გაზეთ "სამტრედიის მაცნეს" № 32-ში გამოქვეყნებულ გონების სავარჯიშოში დასმულ შეკითხვებზე (ათიდან რვაზე) სწორი პასუხები სამტრედიის № 2 საჯარო სკოლის IX კლასის მოსწავლემ **ზიზი ხვიჩას ასულმა ხვედელიძემ** გამოგზავნა. გამარჯვებულადაც ის გამოვლინდა და მან გონების სავარჯიშოს შემდგენლის მიერ დაწესებული პრიზიც დაისაკუთრა.

დაიწყე დღეიდან კარგი ჟურნალისტობა!

თეა ბაბუნაშვილი

ამერიკის საელჩომ დააფინანსა და რეგიონალური განვითარების რესურსცენტრმა სამტრედიაში, ჩოხატაურში, თელავსა და ახალციხეში ერთდროულად განახორციელა პროექტი, რომელიც თანამედროვე ქართული ჟურნალისტიკის ფერხულში ჩასაბმელად მსურველებს სკოლის ასაკიდან იწვევდა. "Start Today", ანუ "დაიწყე დღეიდან", ყველა დასახელებულ ქალაქში, ამ ეტაპზე 10-10 ახალგაზრდას სთავაზობდა ჟურნალისტიკის ლაბირინთებში გარკვევას.

პროექტი რეგიონალური განვითარების რესურსცენტრთან ერთად სამტრედიაში მუნიციპალიტეტის საინფორმაციო სამსახურმა განახორციელა, უფრო სწორად, როგორც ხშირად ხდება, საინფორმაციო ცენტრის სინამდვილეში, სიახლეებით დაინტერესებული ახალგაზრდები სწორედ აქ შეიკრიბნენ. პროექტის ფარგლებში ჟურნალისტ სალომე მიქელთაძის კოორდინირებით დაიწყეს მსურველებმა ჟურნალისტიკის პირველი საფეხურების ავლა. შეიქმნა ვებ-გვერდი სახელწოდებით MOMAVLEBI. GE, სადაც პერიოდულად აქვეყნებდნენ დამწყებ ჟურნალისტთა ნამუშევრებს. დაიგეგმა არაერთი ღონისძიება _ მაჩუქე ღიმილი, შეხვედრა სტუმრებთან და სხვა. პროექტი ერთი თვე გრძელდებოდა. მიზანი მიღწეულია, მიუხედავად იმისა, რომ უკვე დასრულდა, მის მონაწილეებს ჟურნალისტიკით დაინტერესება ერთიორად გაუძლიერდათ. როგორც საინფორმაციო სამსახურის უფროსი და რეგიონალური რესურსცენტრის ხელმძღვანელი სოფიო კირთაძე აღნიშნავს: "პროექტი ძალიან მდგრადი აღმოჩნდა. ბავშვებს არ უნდათ დაიშალონ, სურთ, ამ რეჟიმში კიდევ გააგრძელონ მუშაობა. გაგრძელება კი იქნება ის, რომ ჩვენ გვაქვს მეგობრული მემორანდუმი ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტთან და იქაური წარჩინებული სტუდენტები პერიოდულად ჩაატარებენ ლექციებს ჩვენი ბავშვებისთვის."

პროექტის დასკვნით შეკრებაზე მისმა კოორდინატორმა ნინო ჯიბუტმა შესაბამისი სიგელები გადასცა მონაწილეებს და აღნიშნა: "პროექტის წარმატება ამ ახალგაზრდების დაინტერესება და მათგან გამოხატული მისი გაგრძელების სურვილია. მადლობა მათ აქტიურობისთვის და მადლობა გამგეობის საინფორმაციო ცენტრსა და რეგიონალური განვითარების რესურსცენტრს თანამშრომლობისა და თანადგომისთვის. დარწმუნებული ვარ, მომავალშიც საქმიანი, მეგობრული და საინტერესო იქნება ჩვენი თანამშრომლობა."

ბარბარე მიქელთაძე, ბაჩო ასაბაშვილი, ზუკა ინასარიძე, თამუნა ჯინჭველეიშვილი, მარიამ ჯანელიძე და სხვები ამ პროექტის მონაწილეები გახლდნენ.

თამუნა ჯინჭველეიშვილი და მარიამ ჯანელიძე პროექტით განსაკუთრებით დაინტერესდნენ. უფრო სწორად, მათ ინტერესს ჟურნალისტიკის მიმართ, ამ პროექტმა გასაღები მოუძებნა. კარგი ჟურნალისტობის დაწყება მანამდეც სურდათ, მაგრამ იმ დღიდან, რაც "დაიწყე დღეს" სამტრედიაში დაიწყო, ჩანაფიქრს ფრთები შეასხეს. ისინი ამჯერადაც აქვეყნებენ მასალებს ვებ-გვერდზე. თანაც არცთუ ურიგოდ წერენ. ყველაზე კარგი ის არის, რომ მიღწეულით კმაყოფილები არ არიან, ცდილობენ, საკუთარი შესაძლებლობები განავრცონ და ამ სფეროში დაოსტატდნენ. იციან, რომ სრულყოფილებამდე ბევრი სჭირდებათ და დროს არ აცდენენ კიდევ უფრო მეტი და ახალი გაიგონ პროფესიაზე, რომელსაც საზოგადოების მოდარაჯე ნაგაზის როლი აკისრია. ასწავლეს და იცინ, რომ ჟურნალისტები სვამენ კითხვებს _ რა? სად? როდის? კარგი ჟურნალისტები კი, რატომ? და როგორ? ამატებენ მათ. და უკვე ბევრი იციან, რაც გამოადგებათ ამ სფეროს უკეთ დაეუფლონ. "ამ პროექტით ბევრი რამ შევისწავლე პროფესიაზე, რომელიც მაინტერესებდა. იგი ერთერთი საუკეთესო იყო მათ შორის, რომლებშიც მონაწილეობა მიმიღია. აქ მიღებული გამოცდილება ჩემთვის დიდი კიბის პირველი საფეხურივითაა, რომლის ავლის გარეშეც ადამიანი მწვერვალს ვერ მიაღწევს. ვფიქრობ, საინფორმაციო ცენტრის მეშვეობით კარგი დასაწყისი გვაქვს საზოგადოებისთვის ესოდენ საჭირო სფეროზე, ჟურნალისტიკაზე. ახლა უკეთ ვისიგრძეგანებ მის მოთხოვნილებებს და პასუხისმგებლობას. ჟურნალისტობა ისე ადვილი არ ყოფილა, როგორც ვინმეს შეიძლება ეგონოს. ჩვენ დღეს ვიწყებთ კარგ ჟურნალისტობას და გვესმის, რამდენი შრომა სჭირდებათ სრულყოფისთვის მათ, ვინც უკვე კარგი ჟურნალისტია." _ ასე პროექტის მონაწილე თამუნა ჯინჭველეიშვილი ფიქრობს. მარიამ ჯანელიძე კი თვლის, რომ "იმას, რომ იყო ჟურნალისტი, მარტო სურვილი არ კმარა, ამისთვის მოწოდებაა საჭირო, საკუთარ თავში იმ ძალის გამონახვა, სხვისი პრობლემების გულთან მიტანას, საკუთარ საზრუნავზე წინ დაყენებას რომ სჭირდება. ჟურნალისტიკა უპირველესად სიმართლისთვის ბრძოლა და სიმართლის არდაჩაგვრაა. ჟურნალისტობას, პირველ რიგში, ჟურნალისტური ხასიათი სჭირდება და ეს ერთიორად საპასუხისმგებლოს ხდის ამ პროფესიას. მადლობა ყველა იმ ადამიანს, ვინც ამ პროექტში ჩართვის შესაძლებლობა მოგვცა."

როგორც აღვნიშნეთ, პროექტის გაგრძელების სურვილი მუშაობის დასრულების შემდეგაც არ განელებულა. საინტერესო საქმის საინტერესოდ გამგრძელებლებს საინფორმაციო ცენტრი ამის საშუალებას, რა თქმა უნდა, აძლევს. ასე რომ, ვებ-გვერდზე MOMAVLEBI. GE წაიკითხეთ მათი ნამუშევრები, ვინც კარგ ჟურნალისტობაზე სერიოზულად ფიქრობს.

სამტრედიის მიწყვეტის ფარგლებული ტუნელ

ნათია ნაცვლიშვილი

ფინანსური ცნობიერების ამაღლება _ პროექტი ამ სახელწოდებით საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციისა და საქართველოს ეროვნული ბანკის მხარდაჭერით ხორციელდება. სულ ახლახან ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტს ამ პროექტის ფარგლებში 50 სამტრედიელი მოსწავლე სტუმრობდა. საჯარო სკოლების დირექტორების მიერ შერჩეულმა დამამთავრებელი კლასის წარჩინებულმა მოსწავლეებმა მოინახულეს როგორც ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი, ისე პრეზიდენტის სასახლე და ეროვნული ბანკი.

დღევანდელი ბიზნესის წარმატებას მნიშვნელოვნად განაპირობებს მისი მჭიდრო ინტეგრაცია ტექნოლოგიებთან. ამ უნივერსიტეტში შემუშავებულია პროგრამა, რომელსაც ანალოგი არ გააჩნია საქართველოს საგანმანათლებლო სივრცეში, სტუდენტს ასწავლის არა მხოლოდ ბიზნესის სწორად მართვას, არამედ, მასში ტექნოლოგიების გამოყენების ყველაზე ეფექტურ გზებს.

სამტრედიელ მოსწავლეებს დაათვალიერებინეს უნივერსიტეტში განთავსებული თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი აუდიტორიები, კომპიუტერული კლასები და ლაბორატორიები, ბიბლიოთეკა, სპორტული კომპლექსები და ეკოპარკი.

"განათლების სამინისტრომ მხარი დაუჭირა ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის ამ პროექტს, ჩვენი მუნიციპალიტეტიდან 50 მეთორმეტეკლასელი გაემგზავრა პროექტის ფარგლებში საქართველოს დედაქალაქში, ყველა სკოლას შევთავაზეთ პროექტში მონაწილეობა, სადაც მე-12 კლასი ფუნქციონირებს, ძირითადად შეირჩნენ მოსწავლეები, რომელსაც ფინანსური საკითხები აინტერესებთ, მათ ლექცია- სემინარები ჩაუტარდათ ამ საკითხებზე". _ განუცხადა "სამტრედიის მაცნეს" სამტრედიის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსის დროებით მოვალეობის შემსრულებელმა ელენე ბოხუამ.

მასწავლებლის სტატუსით მოსწავლეებს თან ახლდა № 1 საჯარო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე ციური ხურცილავა, რომელმაც შთაბეჭდილებები გაგვიზიარა:

"ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის დაფინანსებითა და ორგანიზებით ჩვენი მუნიციპალიტეტიდან მე-12 კლასის მოსწავლეები გაემგზავრნენ ამ აკრედიტირებული უნივერსიტეტის სანახავად, რომელიც სტუდენტებს 2017 სასწავლო წლიდან უმასპინძლებს. დავათვალიერეთ კაბინეტ-ლაბორატორიები, ყველა პირობაა აქ სწავლის მიღების, არის ასევე დასაქმების პერსპექტივა, ჯერჯერობით, აქ არის ეკონომიკისა და ბიზნესის და კომპიუტერული ტექნოლოგიების მიმართულებები, შევხვდით ბიზნესის ფაკულტეტის კათედრის გამგეს, რომელიც საინტერესოდ გვესაუბრა უნივერსიტეტში სწავლების შესახებ, პრეზიდენტის სასახლეში დავათვალიერეთ სასახლის ეზო, სასახლის შიდა ინტერიერი, შევხვდით პრეზიდენტის მრჩევლის მოადგილეს ეკონომიკის საკითებში, შემდეგ ვესტუმრეთ ეროვნული ბანკის ფულის საცავს, ჩვენი სკოლიდან 4 წარჩინებული მოსწავლე იმყოფებოდა ამ შეხვედრაზე".

მე-12 საჯარო სკოლის დირექტორი, ხათუნა თელია:

"ჩვენ ბევრი წარმატებული მოსწავლე გვყავს, გაგვიჭირდა შერჩევა, მაგრამ მერე იმათზე გავაკეთეთ აქცენტი, ვინც ბიზნეს-ადმინისტრირების კუთხით აპირებს ჩაბარებას. ასე შეირჩა 4 ათოსანი მოსწავლე. ეს ძალიან კარგი პროექტია, კარგია, რომ ხელს უწყობენ ახალგაზრდებს და გააცვნეს ის ადგილები, რომელთაც სხვა შემთხვევაში ვერ ნახავდნენ. მადლობა ყველას, ვისაც წვლილი მიუძღვის ამ პროექტის განხორციელებაში".

მე-11 საჯარო სკოლის მოსწავლე, მარი თევზაძე:

"ძალიან საინტერესო შეხვედრები გაიმართა როგორც ტექნოლოგიების უნივერსიტეტში, ისე ეროვნულ ბანკსა და პრეზიდენტის სასახლეში. ჩაგვიტარდა ტრენინგები ბიზნესისა და ტექნოლოგიების, ასევე ეკონომიკის შესახებ. იმხანად პრეზიდენტი საქართველოში არ იმყოფებოდა, სასახლეში გვიმასპინძლა პრეზიდენტის მრჩევლის თანაშემწემ, მადლობა მინდა გადავუხადო ჩვენი სკოლის დირექტორს, ქალბატონ ლენა ხაჟალიას, რომ სკოლის 6 მოსწავლეს მოგვცა შანსი, წავსულიყავით დედაქალაქში და ამ საინტერესო შეხვედრებს დავსწრებოდით, ძირითადად ისეთი ბავშვები იყვნენ, ვისაც ტექნიკური განათლების მიღება სურთ. საინტერესო იყო ასევე ექსკურსია ეროვნული ბანკის ფულის საცავში.

ამ პატარებსაც სკოლის ღირსეულ ცვლად მოვიაზრებთ

სამტრედიის № 12 საჯარო სკოლა მუნიციპალიტეტში ერთ-ერთი უძველესია. ეს საუკუნეს გადაცილებული სკოლა საგანმანათლებლო სისტემაში დამკვიდრებული თანამედროვე სტანდარტებით უწყობს ფეხს დღევანდელობას. სკოლის მე-3 კლასის დამრიგებელმა, ქალბატონმა მედეა გეგეშიძემ მისი სადამრიგებლო კლასის ლიტერატურულ ღონისძიებაზე მიგვიწვია. "საქართველო არის ესე" _ ამ სახელწოდებით მოეწყო შესანიშნავი ღონისძიება, რომელმაც პატარების დიდი ნიჭიერება, მონდომება და პედაგოგების შრომა დაიტია. დარბაზის კედლები საქართველოს სხვადასხვა კუთხეების სახელწოდებებით იყო გაფორმებული, კედელზე გაკრათ ნაწყვეტები ქართველ კლასიკოსთა ლექსებიდან... სმენადქცეული უსმენდა დარბაზი მესამეკლასელთა მიერ წარმოთქმულ, თითოეულ სტრიქონს, თითოეულ გაჟღერებულ ლამაზ ბგერას პატრიოტული სიმღერებიდან. ღონისძიების მუსიკალური ნაწილი ლელა გოლიაძემ მოამზადა. ეს ხომ ინდიგო თაობაა, ინფორმაციის ეპოქის პირშო, ამ თაობისათვის ტერმინი "დაგუგლე" უფრო ფასობს, ვიდრე წაიკითხე! ამდენად, პედაგოგებს პირველივე საფეხურიდანვე, დაწყებითი კლასებიდანვე უწევთ დიდი ძალისხმევა, მეტად შეაყვარონ პატარებს წიგნი, დააცვევინონ იდეალური ბალანსი წიგნსა და კომპიუტერს შორის. პედაგოგის შრომის შედეგი სახეზეა _ პატარებმა ყოველგვარი ფურცლების შრიალის და ე. წ. "შპარგალკის" გარეშე შეძლეს ეაზროვნათ, ემოციაც ჩაედოთ თითოეულ ფრაზაში. ეს დასაფასებელია, რადგან სწორედ ახლა ხდება მათი უფაქიზესი სამყაროს ფორმირება, ცოდნის ახალ-ახალი შენაკადებით შევსება, თვალსაწიერის გაფართოება, პატრიოტ ქართველებად მათი აღზრდა. ჩვენ ხომ იმ ქვეყნის შვილები ვართ, სადაც ქართველ კაცს ჩამონგრეული ციხის გუმბათი და ციხის "ნაკაწრიც სტკივა". "თვითონაც მთელი საქართველო ერთი ციხეა, დაგილეწია მტერო, მაგრამ ვერ აგიღია", გამისკდეს მიწა, თუ შეგბღალო, თუ გივერაგო, შენ საქართველოს ფარ-აბჯარო ჯაჭვის პერანგო!" _ მათი ეს სიტყვები ლიტონ სიტყვებად რომ არ დარჩეს, ამაში პედაგოგთა დიდი ღვაწლია. ქართველ კლასიკოსთა ამ ნაწარმოებებზე თაობები აღუზრდია ქალბატონ მედეას, ამ სკოლის არაერთ კურსდამთავრებულს დღეს საკმაოდ საპასუხისმგებლო პოსტი აბარია, ამ პატარებსაც სკოლის ღირსეულ ცვლად მოვიაზრებთ, მათ შემყურეს სხვაგვარი ემოცია არ გებადება.

"მჯერა, საქართველოს ღირსეულ შვილებად აღიზრდებიან ყველანი, ჩემო პატარებო, მიყვარხართ, მეამაყებით, მადლობა მედიკო მასწავლებელს ამ დიდი შრომისათვის, რისი შედეგიც დღეს ვიხილეთ". _ განაცხადა სკოლის დირექტორმა, ხათუნა თელიამ. მოსწავლეებს და პედაგოგებს შრომა შეუქო და შეუფასა ასევე სასწავლო ნაწილის გამგემ, ხათუნა კოსტავამ.

მშობლების სახელით მადლიერება ეთერ აბრამიძემ გამოხატა და აღნიშნა: "სამი შვილის დედა ვარ, სკოლამ პირველ რიგში კარგი ადამიანები კარგი ქართველები უნდა აღზარდოს, მჯერა, ეს სკოლაც ღირსეულად გააგრძელებს ტრადიციებს. მსმენია, თუ ვინ აღუზრდია, რა უკეთებია ამ სკოლის პედაგოგებს, ბედნიერი ვიქნები, თუ წელიწადში ერთხელ მოეწყობა მსგავსი საღამოები, დრღევანდელი დღე ჩვენს შვილებს არასოდეს დაავიწყდებათ".

რაიონულ ბიბლიოთეკაში თეატრალურ სამტრედიაზე

თეა ბაბუნაშვილი

წიგნის პრეზენტაცია, და საერთოდ შინაარსიანი ღონისძიება მუნიციპალიტეტის მთავარ ბიბლიოთეკაში არავის უკვირს. უფრო სწორად, აქაურების ჩანაფიქრს, სანახაობად ქცეულს, ინტელექტი არასდროს აკლია. სხვაგვარი მოლოდინი არც აქვს საზოგადოების იმ ნაწილს, სამკითხველო დარბაზი საკუთარ ნავსაყუდელად რომ გაუხდია. რაიონულ ბიბლიოთეკას თამამად შეგვიძლია ვუწოდოთ მუნიციპალიტეტისთვის სასიკეთო იდეების სამჭედლო.

ორიოდე დღის წინ, აქ კიდევ ერთხელ კიდევ ერთი წიგნის პრეზენტაცია გაიმართა, წიგნისა, რომლის შექმნის სურვილი დიდი ხნის წინ გაუჩნდა ქალბა-

ტონს, ათეული წელი სცენაზე რომ გაატარა. მზია ჩიხლაძეს, ამ ბიბლიოთეკის დირექტორის მოადგილეს და სამტრედიელებისთვის საყვარელ მსახიობს, სამტრედიის თეატრალური ცხოვრების წიგნად შეკვრის სურვილი აწვალებდა. სწორედ ამ ბიბლიოთეკაში, რაიონისთვის კარგად ნაცნობი ადამიანის, ბორის ფოცხვერაშვილის მორიგი წიგნის პრეზენტაციაზე დაიბადა იდეა, ქალბატონი მზიას და ბატონი ბორისის თანაავტორობისა. საქმემ მოითხოვა და მუშაობის პროცესში მათთან ერთად

სხვებიც ჩაერთნენ. წიგნზე იმუშავა "სამტრედიის მაცნეს" მთავარმა რედაქტორმა, ქეთევან ჭელიძემ. მასში დაიბეჭდა ამ გაზეთში სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული რეცენზიები და თეატრალურ ხელოვნებაზე შექმნილი წერილები, რომელთა ავტორებიც ჟურნალისტები ანზ-

ორ გრიგოლი. ოტარ ნაფეტვარიძე, ზოია კალანდაძე, ქეთევან ჭელიძე, ლევან გაბეჩავა, ნათია ნაცვლიშვილი და სხვები გახლდნენ.

"თეატრალური სამტრედია" სახელწოდებაა წიგნისა, რომელმაც ბევრი დაიტია, ბევრი რამ გააცოცხლა, ისტორიას შემოუნახა. თუმცა, სათქმელიც ბევრი დარჩა და როგორც იმ შეხვედრაზე ითქვა, ამ შეცდომას სხვა გამოცემა გამოასწორებს, თუნდაც, იგივე ავტორების მიერ მომზადებული.

ბიბლიოთეკაში გამართული ღონისძიებების ნიშა რომ ინტელექტის განსაკუთრებულად გამოვლინებაა, ზემოთაც აღვნიშნეთ. თითქმის ყველა მათგანის ავტორი და წამყვანი, გაზეთ "სამტრედიის მაცნეს" პასუხისმგებელი მდივანი, ლევან გაბეჩავა გახლავთ. ამჯერადაც, როგორც ღონისძიების ავტორს, წამყვანის ამპლუაში ტრიბუნა მას დაეთმო. წიგნის მოკლე მიმოხილვისა და მის ღირსებებზე ყურადღების გამახვილების შემდეგ, ჟურნალისტის მახვილი თვალით დანახულ ნაკლოვანებებზე ისაუბრა, რაშიც ცალკეულ გამომსვლელებთან ერთად წიგნის ავტორებიც დაეთანხმნენ. აღინიშნა კიდეც მათი მხრიდან, რომ ოპტიმალურად მცირე დროში შედგენილმა ამ გამოცემამ ბევრი ისეთი სახე ვერ დაიტია, ურომლისოდაც სამტრედიის თეატრალურ ცხოვრებაზე საუბარი სრულყოფილი ვერ იქნება. ლევან გაბეჩავამ კი აღნიშნა: "რიგი შეცდომების მიუხედავად, რაც ნებისმიერი გამოცემისთვისაა დამახასიათებელი, წიგნი კარგ სამსახურს გაუწევს მომავალ თაობებს. მასში თავმოყრილია ჩვენი რაიონის თეატრალური მოღვაწეობის ცალკეული ეტაპები. მისასალმებელია ავტორთა გადაწყვეტილება, გამოეცათ წიგნი, რაც უკვე სახეზეა. მადლობა მათ."

"თეატრალური სამტრედია" წიგნის თაროზე იმ გამოცემებს შორის დაიკავებს საკუთარ ადგილს, ჩვენი რაიონის ცხოვრებასა და გარდასულ დღეთა მატია-

ნეზე რომ უყვება მკითხველს. იგი იწყება წინადადებით, რომელიც ცხადყოფს რაიონის ინტელექტუალურ წარსულს, "სამტრედიას სრულიად დამსახურებულად შეიძლება თეატრალური ქალაქი ვუწოდოთ, რამეთუ საუკუნე-ნახევრიანი ქალაქის ისტორიას ამავე ასაკის თეატრალური წარსული ამშვენებს."

პრეზენტაციას არც ლირიული გადახვევები აკლდა. საღამო სიმღერით გაალამაზეს მზია ჩიხლაძის შვილიშვილმა მარი რურუამ და ბექა თევზაძემ. გარდა მოგონებებისა, რამდენიმე სპექტაკლიდან ნაწყვეტები წარმოადგინა რეჟისორმა და მსახიობმა ვეფხია ნადირაძემ, მსახიობმა როლეზ გოგიშვილმა, მზია ჩიხლაძემ, ნიკა ფხიკიძემ და მარიამ ჯანელიძემ. ლექსი წაიკითხა აწ გარდაცვლილი რეჟისორის, ზვიად ვაშაკიძის შვილიშვილმა, ოთარ შუბლაძემ. მუნიციპალიტეტის თეატრალური წარსულის გუშინდელი დღის ერთ-ერთი წარმომადგენელი ჟორა კეშელავა იმ წლებს და ადამიანებს იხსენებდა, რომლებზეც წიგნშია მო-

თხრობილი. ქალბატონმა ნათელა გელეიშვილმა ვრცლად ისაუბრა სამტრედიელ თეატრალებზე და საზოგადოებისთვის უცნობი არაერთი დეტალი გაიხსენა. ბორის კახიანმა და ისიდორე ჯანელიძემ თეატრალურ სფეროსთან დაკავშირებული არაერთი ფაქტი მოიგონეს. დარბაზს მიმართა დეკანოზმა ანტონმა, რომელიც ბიბლიოთეკის ხშირი სტუმარია. ტექნიკური გაფორმება ბიბლიოთეკის საინფორმაციო ანალიტიკური განყოფილების მეთოდისტს, იზაბელა ლეგაშვილს ეკუთვნოდა. საკუთარ მოგონებებში სითბო ჩააქსოვა გამგებლის მოადგილემ, ლიზა კრავეიშვილმა. ითქვა ბევრი თბილი სიტყვა ყველა იმ ადამიანის მისამართით, ვინც რამეთი მაინც დაატყო ხელი "თეატრალური სამტრედიის" გამოცემას. ავტორებმა მადლობა გადაუხადეს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას, მაჟორიტარ დეპუტატს გია მიქელაძეს, ბიბლიოთეკის დირექტორს, ლამარა დუნდუას, საინფორმაციო ანალიტიკური განყოფილების მეთოდისტს, იზაბელა ლეგაშვილს, ყველა იმ ადამიანს, ვინც თუნდაც მცირედით დაუდგნენ გვერდით.

ყველას საკუთარი როლი აქვს იმ სპექტაკლში ცხოვრება რომ ჰქვია. ყველა თამაშობს ისე, რისი ნიჭიც აქვს. ზოგი მეტად შემორჩება სცენას, ზოგიც ნაკლებად, არიან ისეთებიც, საერთოდ რომ ვერ დაატყობენ საკუთარ ნატერფალებს. ყველას ანაბეჭდი საბოლოოდ მისი შესრულებული როლით ისაზღვრება, ღირსეულად თუ უღირსად, კეთილად თუ ბოროტად, სამტროდ თუ სამეგობროდ, სიყვარულით თუ სიძულვილით "მოჭრილი" პერსონაჟებით. ესაა ცხოვრება და ესაა სცენა, განუყოფელი ნაწილი ჩვენი ცნობიერებისა და ყოფიერებისა.

იმ წიგნით, რომლის პრეზენტაციაც ბიბლიოთეკაში რამდენიმე დღის წინ გაიმართა, თეატრალური სამტრედიის შემოქმედნი გაიხსენეს, ყველა მათგანი უფრო დიდ ცხოვრებისეულ სცენაზე თავის სათქმელს საქმით რომ ამბობდა. ამ გრძლად ნათქვამ სიტყვას დიდი აკაკი ხორავა მოკლედ ასე იტყოდა: "ყველა მსახიობი ნაწილია ცხოვრებისა, ე. ი. ნაწილია სპექტაკლისა, ხან უდიდესი და უმნიშვნელოვანესი, ხან უმცირესი და წუთიერად მოვლენილი, მაგრამ მუდამ მხოლოდ ნაწილი ცხოვრებისა. ასეა როლიც, მუდამ განსხვავებული, მაგრამ მაინც მუდამ ნაწილი."

რატომ სჩადიან მოზარდები დანაშაულს

ნათია ნაცვლიშვილი

შეკითხვა პრობლემური და ზეაქტუალურია. "რა არის ახალგაზრდებში დანაშაულის ჩადენის მთავარი მიზეზი? ამ პრობლემის ირგვლივ სამსჯელოდ, საკამათოდ, საკუთარი მოსაზრებების გამოსათქმელად შეიკრიბნენ მოსწავლეახალგაზრდობის სახლის ახალგაზრდული პარლამენტის წევრები. ახალგაზრდულ დებატებს როგორც სამართალდამცავი ორგანოების, ისე საგანმანათლებლო რესურსცენტრის წარმომადგენლებიც უნდა დასწრებოდნენ, მაგრამ ამჯერად შეხვედრამ მათ გარეშე ჩაიარა. თუმცა, აზრების გაცვლა-გამოცვლა მართლაც საინტერესოდ, ზომიერი კამათისა და ორატორული ნიჭის გამოვლენით, ოპონენტის აზრის პატივისცემით წარიმართა. არავის ჰქონია ილუზია, რომ ამ პრობლემას აღმოფხვრიდნენ, უბრალოდ, ეძებდნენ გზებს ამ მეტად რთული პრობლემის დასაძლევად.

მე-4 საჯარო სკოლის მოსწავლემ, თამუნა ჯინჭველეიშვილმა თანატოლებთან ერთად ჩატარებული კვლევის შედეგები წარმოადგინა. რამდენიმე საჯარო სკოლის უფროსკლასელები (სულ 170 მოსწავლე) გამოკითხეს. მათ დაესვათ შეკითხვა, თუ რა შეიძლება იყოს მოზარდებში დანაშაულის ჩადენის მთავარი მიზეზი. მოსწავლეებმა მიზეზების 7 პუნქტიანი ნუსხა წარმოადგინეს, თითოეული მიზეზი პროცენტებში აი, ასე აისახა: 1. არასწორი აღზრდა 23%. 2. ფილმები და კომპიუტერული თამაშები 6%, 3. თვითგამოხატვის საშუალებების შეზღუდვა 7%, 4. მძიმე სოციალურ-ეკონომიკური პირობები 12%, 5. უარყოფითად განწყობილი საზოგადოება 13%, 6. დაბალი განათლების დონე 10%, 7. ქუჩის გავლენა 29%.

მე-6, მე-3, მე-4, მე-10, მე-11 და დაბლა გომის საჯარო სკოლის მოსწავლეებმა წარმოადგინეს თავიანთი ნაშრომები დანაშაულის გამომწვევი ამა თუ იმ მიზეზის შესახებ. ითქვა ისიც, რომ აკრძალვა არ არის პანაცეა, ხშირად მოზარდს აკრძალვით უფრო ვუბიძგებთ დანაშაულისაკენ, იმ ასაკში, როცა ორგანიზმში, სამედიცინო ენაზე რომ ვთქვათ, ნამდვილი გრიგალია ატეხილი, ახალგაზრდას უჩნდება უამრავი საცდურისაკენ გახედვის სურვილი, ხშირად მას მათხოვრობას თუ შრომას ურჩვენია, იქურდოს. ამიტომ ხაზი გაესვა ოჯახის ინსტიტუტს, თანატოლთა დახმარების, ამ გასაჭირიდან ამოსაყვანად ხელის გამწვდენის დიდ მნიშვნელობას. კამათი გამოიწვია ერთ-ერთი მოსწავლის განცხადებამ იმის შესახებ, რომ სტენლი კუბრიკის "მექანიკური ფორთოხალის" ნახვის შემდეგ ამერიკელმა კოლეჯის მოსწავლემ მისი 8 მეგობარი ჩაცხრილა. მან თავისი დანაშაული ამერიკულ ფილმებში არსებული ძალადობრივი სცენებით ახსნა. დარბაზში საწინააღმდეგო მოსაზრებაც გაჩნდა, რომ პრობლემა ფილმში კი არა, ადამიანებშია, ადამიანებს აკლიათ განათლება. ემოციური იყო მე-6 სკოლელი მარიამ ჯანელიძის ინტერვიუ ყოფილ მსჯავრდებულთან, რომელიც ციხეში პირველად 17 წლისა მანქანის ქურდობის გამო მოხვდა. კითხვაზე, თუ რა დაკარგა საუკეთესო 9 წლის ციხეში გატარებით, მსჯავრდებული პასუხობს, რომ მან გამოტოვა ცხოვრება. მარიამმა ამავე ყოფილი პატიმრის მიერ ციხეში გამოცემული ბროშურიდან ნაწყვეტიც წაუკითხა შეკრებილთ.

სკოლა "ცოდნის" სამოქალაქო განათლების პედაგოგმა, ლუიზა მიქაუტაძემ მეგობრის, კარგი მრჩევლის ფაქტორს გაუსვა ხაზი და აღნიშნა, ყველაფერი უნდა იღონონ თანატოლებმა თავიანთი კლასელი დამნაშავეთა სამყაროს რომ განარიდონ. ასევე ისაუბრა ოჯახის ინსტიტუტის უდიდეს მნიშვნელობაზე, სადაც მოზარდს კანონმორჩილებისაკენ მოუწოდებენ და ღვთის მცნებების გათავისებას ასწავლიან. აქტიურად გამოთქვეს თავიანთი მოსაზრებები მე-10 სკოლელმა სესილი გოგიბერიძემ, მე-12 სკოლელმა ზუკა ინასარიძემ, მე-3 სკოლელმა გიორგი ჩიბიროვმა და სხვებმა...

მე-4 სკოლის ისტორიის პედაგოგმა ნელი ცეცხლაძემ განაცხადა, რომ ცდილობს იყოს კარგი მეგობარი და კარგი მასწავლებელი, გაგებით მოეკიდოს მოზარდის თვითგამოხატვის ნებისმიერ გამოვლინებას, იქნება ეს წითლად შეღებილი თმა თუ ექსტრავაგანტური ჩაცმულობა. "არ გავკიცხოთ, გავუგოთ, არსებობს ახალი მეცნიერება: სოციომეტრია, რომელიც იკვლევს საზოგადოებას, კარგად მუშაობს განვითარებულ ქვეყნებში ნდობის ტელეფონი, მშობელს შეუძლია, აკრიბოს ნომერი და ფსიქოლოგს ჰკითხოს, რთული ფსიქიკის შვილთან ურთიერთობის რა მეთოდი აირჩიოს".

დარბაზში სტუმრის სტატუსით მყოფმა ექიმმა სტომატოლოგმა, ქეთევან კახიანმა მოსწავლეებს საინტერესო დებატები მოუწონა, შეუქო მათ ნიჭიერება, ახალგაზრდული მაქსიმალიზმი, გონების სისხარტე და მოუწოდა, არასოდეს უბიძგონ ერთმანეთს დანაშაულის ჩადენისაკენ.

ბარბაროობას გილოცავთ!



წმინდა ბარბარეს კულტი წარმოიშვა და გავრცელდა აღმოსავლეთის მართლმადიდებელთა შორის. მის სამშობლოდ ასახელებენ ეგვიპტეს (ბაალბექი, ფრიგია).

უმეტესად ბარბარეს თაყვანს სცემდნენ, როგორც ავადმყოფთა მკურნალსა და მფარველს.

ბარბარობა ქართველებისათვის ერთ-ერთი უძველესი წინა საახალწლო დღესასწაულია.

ბარბოლის, ბარბალაშისა და ბარბალეს სახით წინაქრისტიანულ მზის ღვთაებას სცემდნენ ადრე თაყვანს.

მორწმუნე ქართველებს წმინდა ბარბარე წამოდგენილი ჰყავდათ, როგორც ქალების, ფურების, საერთოდ, ბუნების ნაყოფიერების, დედური ძალების მფარველი ასტრალური ქალღვთაება.

ბარბარობაში ასახულია ქართველთა კოსმოგონიური წარმოდგენები, რადგან ეს დღეობა ითვლება ზამთრის მზის ბუნიობის დღეობად.

ბარბარობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი რიტუალი იყო მეკვლეობა-ბედობა. დღესასწაულთან დაკავშირებული იყო აგრეთვე სხვადასხვა რიტუალი: ლოცვა-ვედრება, შესაწირავები, რძის ფაფა, ხაჭაპური (სვანეთში). ლობიოსა და ნიგვზისგულიანი ჯვარდასახული ტაბლები, ე. წ. საბარბარო ტაბლები (ლეჩხუმში) და ა. შ.

ახალი სტილით 17 დეკემბერს აღინიშნება ბარბარობა, ხსენება წმინდისა დიდმოწამე ბარბარესი.

გილოცავთ!

ლევან გაბიჩავა

19 დეკემბერი წმინდა ნიკოლოზის ხსენების დღეა!

„კანონად სარწმუნოებისა და ხატად სიცოცხლისა და მოძღვრად მარხვისა გყო შენ ქრისტემან სამწყსოსი შენისათვის ჭეშმარიტებით. ამისთვისცა მოიგე სიმდაბლითა სიმაღლე და სიგლახაკითა სიმდიდრე.

წმინდაო მღვდელმთავარო ნიკოლოზ, ევედრე ქრისტესა ღმერთსა შეწყალებად სულთა ჩუენთათვის".



წმინდა ნიკოლოზი მცირე აზიაში დაიბადა. იგი ადამიანებს სიმდაბლის, სიმშვიდის, მიმტევებლობის, კაცთმოყვარეობის მაგალითს აძლევდა.

მღვდელმთავარი ღრმად მოხუცებული მიიცვალა.

მისი მირონმდინარე ნაწილები ჯერ ადგილობრივ ტაძარში დაასვენეს, შემდეგ კი იტალიაში, ქალაქ ბარში გადაასვენეს.

როგორც სიცოცხლეში, გარდაცვალების შემდეგაც ეხმარება მორწმუნეთ წმინდანი.

მისი უხრწნელი სხეულიდან დღემდე მოედინება კეთილსურნელოვანი მირონი. მრავალი სასწაული აღესრულება მის საფლავთან.

19 დეკემბერს იხსენებს ეკლესია წმინდანს.

ლევან გაბიჩავა

ახალი ლექსები

კოკა

საღოლაშენის აღმართზე
მივუყვებით მე და შენ,
მე თხუთმეტის, შენ ცამეტის,
კოკით მიგვაქვს ზედაშე.
დავიქანცეთ, შევისვენეთ,
სულ შევჩერდით წუთებით,
კოკა დაბლა დაგორდა და
მიჰქრის ბათქა-ბუთქებით.
კოკა გატყდა, ჩვენი ცრემლი,
იყო მწარე მწარეზე
ძალზე ხშირად ვფიქრობ, ძმაო,
იმ გათეულ ღამეზე.
იცი, ახლა რა ტკბილია,
იმ წამების სიმწარე?
მაშინ ჩემთან იყავი და
ირგვლივ იყო სიმწვანე.

ფიფქები მღერის

შუაღამეა, დაიწყო თოვა,
ისეთი სუფთა, ისეთი წმინდა,
ყელზე მოვისხი მანდილი თეთრი,
მეძახის თოვლი, ფიფქებთან მინდა.
მივდივარ სადღაც უმისამართოდ,
ბაგეს ადნება ფანტელი თოვლის,
ცამ გამოაღო ოცნების კარი
და ოცნებები მოდის და მოდის.
მიახლოვდები, შენ ხარ ნამდვილად,
ოჰ, ღმერთო ჩემო! არ ხარ სიზმარი,
როგორ მიყვარხარ თავდავიწყებით,
ველარ გავბედე, ველარ გითხარი.
და მე გავფრინდი მეათე ცაზე,
ცას თვალები აქვს საოცრად ლურჯი,
ისე ლამაზი არის ყოველი,
ფიფქები მღერის და მე დავმუნჯდი.

გამიხარდება კია?

წვიმა დამაწვიმს, დრო მოვა,
მთვარეც დამაფენს სხივებს,
თოვლიც მომძებნის, იებიც,
გული დასწყდებათ ფიქრებს.
შენ რომ მოხვიდე საფლავზე,
გულზე დაჰკრეფდე იას,
ნეტავ, თუ გავიგონებდე ან
გამიხარდება კია?
***
მინდა შევეხო ზეცას სახეზე,
ჩამოვაცალო წამწამი _ მთვარე,
_ წერილი გინდა თუ სიხარული? _
ვეკითხები და მიღიმის ღამე...

ჰო, არ არის ადვილი

როს გადმოვალ ლიხს აქეთ,
გული იწყებს ძგერასა,
ნელა-ნელა მაპარებს
მზე მთებს შუა მზერასა.
ფერდზე ყვავის ტყემლები,
ტოლს არ უდებს ატამი,
მხედარს თეთრ ბედაურზე
მიუშვია ლაგამი.
შურდულივით აიჭრა
ცაში ჭროღა მიმინო,
საიდანღაც იჭექა,
ცას შეაწყდა ღიღილო.
გზაზე მეგებებიან
ცელქი ყოჩივარდები,
ამედევნა გზადაგზა
ციდან ვარდნის კადრები,
ჰო, არ არის ადვილი,
ცაში ღრუბლის ამბორი,
ჰო, არ არის ადვილი,
კრწანისი და შამქორი.

დედი

ო, როგორ მინდა თბილად შეგეკითხო:
_ ხომ არ დაიღალე, დედი,
ო, როგორ მინდა გულში ჩაგიკრა და
ისევ მოგიხარო ქედი.
შენი მორთმეული გაზაფხული
ხელში ლურჯი კონით იის,
დიდი იმედით და სიყვარულით
მჩუქნის სასთუმალთან ღიმილს.
შენი თვალის შუქი, შენი ხელის სითბო,
ყველგან თან დამყვება, დედი,
ახლა შენზე ფიქრში ცას ავხედე და
სახლში შემოფრინდა მტრედი.

***

შუა წყალში ნავი მოსჩანს,
ტალღა მოაფარფატებს,
ნეტავ, საით მიაცურებს,
სადედოფლო ამ ფატებს.

ყაყაჩო

„უფლისციხესთან სისხლისფერი
ყაყაჩოს წვეთი, არა დაღვრილის
დასაღვრელის, ალბათ, მაცნეა"...
მურმან ლებანიძე

ქუჩის პირას შემომხვდა
თვალგიშერა ყაყაჩო,
სხვანი, სხვათა გზავნილი,
უფლისციხეს დარაჯობს.
გმირთა ყივილს სისხლისა
ველარ იტევს მამული,
აქაც ამად მოსულა
წითელღვია ასული.
ულამაზეს ღიმილზე
დაჰფენია ნაღველი,
გულზე ახლაც აჩნია
მოღალატის ნახმლევი,
მიწად ველარ ისვენებს,
შენ კი, კარგო, რა მოგდის,
ველარ გაგირჩევია,
მზე საიდან ამოდის.
ქარებს გაჰყვა ყაყაჩო,
სადღაც უცხო მხარეში,
გულზე მაწევს ლოდივით
სარეველას თარეში.

გზა თურქეთისკენ

ეძღვნება ბ. ბ-ს.

დგას განშორების ისევ წამები,
გზა თურქეთისკენ გულისწამღები,
მიჰქრის ქალობა, სილაღე ჩემი,
სხვისი დღითა და სხვასთან ღამებით,
ბაღში აჭრელდა უკვე ფოთოლი
და შემოდგომა დაეტყო გულსაც,
როდის მომწერენ მერცხლები წერილს
საქართველოდან შორით წასულსა.
ეს ჩემი ფიქრი და ჩემი ცრემლი
მოედინება ქართული ციდან,
ლოცვით ვითენებ უცხო მხარეში,
ღმერთო, სამშობლო მიცოცხლე წმინდა.
თურმე ცხოვრება არის მზადება,
მზადება მუდმივ განშორებისთვის,
უფალო მომეც თმენა და რწმენა
სიყვარულისთვის, თავდადებისთვის!

ვუძღვნი ნანა ცირეკიძეს

ხელისგულზე გული გიდევს,
ჩემია თუ სხვისია,
თავად ოქროს გულის პატრონს
ცისიერო ცისია.
ღვთისნიერო, ცისფერთვალა,
შენგან მუდამ შუქი კრთის,
თავად ღმერთის მოგზავნილო,
სადარაჯოდ სიცოცხლის.
ზოგჯერ ვიღაც ცუდავშარობს,
ვიღაც კიდევ გიჟდება,
შენ კი მუდამ ეგ ღიმილი
აპრილივით გიხდება.
ანგელოზო, თეთროქალავ,
დაგელოცოს გამზრდელი,
ჩვენს იმედად მუდამ იყავ,
ლამაზი და ჯანმრთელი!

იანვრის მზე

მიყვარს მიწა, დედამიწა,
ჩემი სისხლი, ხორცი,
მთაგრეხილი თეთრი ჩოხით,
იანვრის მზე მორცხვი.
მიყვარს გზის პირს გაბნეული
სურნელება მოცვის,
გაზაფხულზე სიყვარული
მზის სხივებად რომ წვიმს.
სალოცავ ხატს რა გამოლევს,
ზეცას თუ არ მოსწყდი,
სიყვარული რას გამომლევს,
ავკაცისგან მოვცვდი.
დაიღალა გული, თორემ
სულს რა დაღლის ლოცვით,
მიხარია, მტერიც მყავს და
მდიდარი ვარ მოყვრით.

განწყობა

განწყობა ცუდი,
ბედი მუხთალი
და გადმოვიღე
იქვე „მუხრანი",
გადავშალე და,
შენ გაიხარე,
ჩემო მუხრანო,
ჩემო მახარე!
ვკითხულობ, თანაც
ძლიერ ვხარხარებ:
„_და თუმცა რიგი, მიიწევს ნელა,
საფლავი,
ყველას შეხვდება,
სჯერათ!"

მაყვალა ჩირგაძე

***

წვიმების შემდეგ
ატკივებია მუცელი ღრუბელს,
და ცაზე ახალ
საბუდარს იწყობს...
წევს ასე მკე დეკეულივით
და მზეს მშობიარობს თითქოს.

***

მე შევინახე გულის ჯიბეში
ეს შენი კოცნა,
რომ სიბერის ჟამს ისევ მახინჯი
და გაყინული გამითბოს ლოყა.

თუშეთის მთები

ცაზე მთები ბილიკებით დაკიდულა,
მთელ ტანზე რომ დახვევია ქამარივით
და ჩანჩქერი მოწანწკარე ცეროდენა
თითქოს წყალზე უკიდია ხანჯალივით.

***

პოეტ ზურაბ კუხიანიძეს

დღე იწურება როგორც
ყურძენი
და ღვინოსავით ღამე მთვარის
ფიალას ივსებს.
მეკი მივირთმევ შენს ლექსს
გადასმულს სტრიქონზე
ტკბილად
როგორც თაფლიან პურივით ისე.

დეკემბრის ღამე

დაბერდა ღამე სუსტი და გრძელი,
შეციებული და ოდნავ მკრთალი
მისი ჩრდილების გამხდარ მკლავებში
გადაწოლილა დეკემბრის დილა
ვით ახალგაზრდა მძინარე ქალი.

***

მთა დაჩოქილა მეცხვარესავით
და ქვებზე ღელეს ხმალივით ლესავს,
დღეს ხის კანივით ცა ოდნავ გასჭრეს,
თითქოს მზის კვირტით დაამყნეს ზეცა.

***

მე რომ მოვკვდები სულ უპატრონოდ,
არვინ არ მნახავს, ვიქნები მარტო...
და დედაჩემი კვლავ მოვა ისევ
და დამიხუჭავს ჩემს თვალებს ფართოს.
როგორც პატარას ჩამკიდებს ხელებს
და სიკვდილეთშიც წამიყვანს ნელა
და ბედნიერი ვიქნები მაშინ,
თუ იქაც, მკვდრეთით ჩემი ბავშვობა
განმეორდება.

***

თეთრი ღრუბლები დაკვეთილა
უკვე რძესავით
ისევ გაჩერდა ვერ ჩამოვარდა
ფოთოლი ციდან,
თითქოს ბებიას ჩაუყვია
დიდი ხელები
და სავსე მთვარე თბილ ყველივით
ამოჰყავს ციდან.

***

დღეს ცას ძალიან ჩაუცვია მოკლე კაბა და,
ეს წვიმა მუხლებს ველარ მალავს
მაინც ვერაფრით...

***

იამ გაჩუქა მისი თვალები,
მთვარიან სახე ზაფხულის ღამემ,
და იებს ასდით შენი სურნელი,
შენ რომ გგავს, მიტომ ანათებს მთვარე.
ყველამ დაგითმო მისი ბილიკი
ალბათ, ასეა და არა ვითომ...
დაბრმავდა ია და იქნებ ასე
მისი მიჯნურიც შენა ხარ თვითონ?!.

***

რომ დაიბღავლა გათენებისამ,
უცებ გადმოდგა დილა მთასავით.
ძლივს დააღწია თავი სიბნელემ _
შავ კატად იქცა და კუთხის ბოლოს
შეძვრა პატარა
წრუწუნასავით...

ემილე თოფურია

უბერებელი დედოფალი

ქართული სპორტის მშვენებამ, მსოფლიოს არაერთგზის ჩემპიონმა ნონა გაფრინდაშვილმა ამ დღეებში კვლავ აახმიანა პრესა, აალაპარაკა სპორტის, განსაკუთრებით კი ჭადრაკის მოყვარულნი.

ნონამ იტალიის ქალაქ **აკვი ტერმეში** გამართულ სენიორების 25-ე მსოფლიო ჩემპიონატზე გამარჯვება მოიპოვა და 65 წელს ზევით ქალთა შორის მსოფლიო ჩემპიონი გახდა.

ბოლო ტურში ნონა ქართველ მოჭადრაკეს თამარ ხმიადაშვილს შეხვდა, რომელთანაც პარტია ფრედ დაასრულა. ეს ფრე გაფრინდაშვილისათვის საკმარისი აღმოჩნდა, რომ ქულათა რაოდენობით პირველ ადგილზე გასულიყო.

ჩემპიონატზე, რომელიც 10-21 ნოემბერს მიმდინარეობდა 65 წელს ზევით მოთამაშეთა შორის, პირველობისათვის 10 მოჭადრაკე იბრძოდა.

მოგაგონებთ: ნონა გაფრინდაშვილი ხუთგზის მსოფლიო ჩემპიონია ჭადრაკში.

საერთაშორისო დიდოსტატის წოდება მან 1976 წელს მოიპოვა.

1978 წელს ჭადრაკის ისტორიაში პირველად იგი ამავე ტიტულის მფლობელი გახდა მამაკაცებშიც.

ქალბატონი ნონა მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადების თერთმეტგზის ჩემპიონიცაა.

სამტრედიელ გულშემატკივართა სახელით კიდევ ერთ აღიარებას ვულოცავთ ჭადრაკის უბერებელ დედოფალს.

ლევან გაბიჩავა



ქიდაობის პროფესორი

ძალზე დიდი ხნის წინათ, ძალზე დიდი მიღწევებისათვის უბოძეს ეს წოდება ბატონ ვახტანგ ბალავაძეს, კაცს, რომლითაც სხვა ღირსეულ ადამიანებთან ერთად კანონიერად ამაყობს მშობლიური სამტრედია, ღანირი და ღანირელები.

ახალს ვერაფერს ვიტყვით.

ახსოვს სამტრედიას ვახტანგ ბალავაძის არაერთი სტუმრობა მშობლიურ რაიონში.

გვახსოვს, როგორ სიამაყით ჰყვებოდა ბატონ ვახტანგზე, მის მიღწევებზე ჩვენი უფროსი კოლეგა, გაზეთ "წინსვლას" ყოფილი რედაქტორი, საქვეყნოდ ცნობილი ბიბლიოფილი, ბატონი ვახტანგის პედაგოგი, ვალერიანე მეგრელიშვილი.

90 წელი შეუსრულდა ამ დღეებში ბატონ ვახტანგ ბალავაძეს.

წელთა სიმრავლეს და ოჯახის კეთილდღეობას ვუსურვებთ ღვაწლმოსილ, აღიარებულ ჩემპიონს, სამტრედიის საპატიო მოქალაქეს.

ლევან გაბიჩავა

შეუსწავლელი ფენომენი

მასზე, მისი, როგორც პიროვნების შესახებ ბევრს მსჯელობენ ისტორიკოსები, პოლიტიკოსები, პოლიტოლოგები, კონფლიქტოლოგები, სახელმწიფო მოხელეები, უბრალო ადამიანები.

მსჯელობენ, ჰყვებიან ტყუილს, მართალს, ნანახს, გაგონილს, რეალურს, მონაჭორს.

სტალინი კი იყო, არის და დიდხანს იქნება უთუოდ, სათანადოდ შესწავლის ობიექტი.

და მაინც ვინ იყო სტალინი?

შორსმჭვრეტელი პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწე, სტრატეგი, ნიჭიერი მხედართმთავარი, რომლის სახელთანაც დაკავშირებულია კაცობრიობის ისტორიაში მანამ არნახული სისასტიკის მეორე მსოფლიო ომის ძლევამოსილად დასრულება, ფაშიზმის გაცამტვერება, ომისშემდგომი აღმშენებლობითი ხანა, ქვეყნის, უზარმაზარი საბჭოეთის ინდუსტრიალიზაცია...

ზემოთთქმულის პარალელურად სტალინის სახელს უკავშირდება გასული საუკუნის 40-50-იანი წლების არნახული რეპრესიები, ათასობით უდანაშაულო ადამიანის, გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწეების, მეცნიერების, მწერლების სიცოცხლე რომ იმსხვერპლა.

ამის მიუხედავად თანამედროვე მსოფლიოშიც სტალინის ფენომენისადმი არაერთგვაროვანი დამოკიდებულებაა.

ფაქტი იმისა, რომ სტალინი შესულია მსოფლიოს 100 უდიდეს ადამიანთა სიაში, რომ მისი ბიოგრაფია შეტანილია მსოფლიოს ყველა ქვეყნის ენციკლოპედიაში, რომ მის ძეგლს საქართველოში ადგილი ვერ მოვუძებნეთ და ნაირფერი საღებავებით "ამკობენ" შეურაცხყოფის ნიშნად, ბევრის მთქმელი და დამაფიქრებელია.

137 წელი სრულდება 21 დეკემბერს სტალინის (იოსებ ბესარიონის ძე ჯუღაშვილი) დაბადებიდან.

ლევან გაბიჩავა

ის ერთადერთი აკაკი იყო...



"ცოცხალთ აბუჩად ვეპყრობით,
მკვდრებზე ვიხოკავთ ლოყასა!"
ხალხური

ცნობილია, რომ 1908 წლის 7 დეკემბერს საქართველოში ფართოდ აღნიშნეს აკაკი წერეთლის მოღვაწეობის ნახევარსაუკუნოვანი იუბილე.

საკმაოდ მოხუცი, მატერიალურად შეჭირვებული იყო ამ დროს მგოსანი.

იუბილეს შემდეგ აკაკის მიუმართავს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობისათვის, რომ თავადვე შეესყიდათ იუბილეზე აკაკისათვის მირთმეული ნივთები, რათა აღებული თანხით ერჩინა თავი პოეტს.

აქვე ვბეჭდავთ აკაკის განცხადების ტექსტს:

"ჩემი ავადმყოფობის გამო საჭიროა წავიდე სამკურნალოდ საზღვარგარეთ და რაკი ამჟამად ავადმყოფობასთან ერთად გაჭირვებული ვარ ქონებრივად, ამისთვის იძულებული ვარ გავყიდო იუბილეს დროს ჩემდამი მოძღვნილი ნივთები, რომლებიც ამჟამად ინახება წერა-კითხვის საზოგადოებაში.

თუ წერა-კითხვის საზოგადოება შეიძენს ნივთებს ქართული ეროვნული მუზეუმისათვის, ჩემთვის დიდად სასიამოვნო იქნება და, თუ რომელიმე მიზეზის გამო ვერ შეიძენს, მაშინ იძულებული ვიქნები, სხვას მივყიდო.

გთხოვთ, რაც შეიძლება დროით გამომიცხადოთ თქვენი გადაწყვეტილება ამ საგანზედ".

აკაკი წერეთელი

აკაკის ამ განცხადებაზე 1909 წლის 30 იანვრის თარიღით წარწერილია რეზოლუცია: "უსახსრობის გამო, ამჟამად სამწუხაროდ გამგეობას არ შეუძლია შეისყიდოს ნივთები".

ცნობილი საზოგადო მოღვაწე იაკობ გოგებაშვილი გასცნობია აკაკის უმწეო მდგომარეობას და 1909 წლის 10 თებერვალს წერილით მიუმართავს აკაკის საიუბილეო კომიტეტის ყოფილი თავმჯდომარის, გიორგი ყაზბეგისათვის.

"დიდად პატივცემულო გიორგი ნიკოლოზის ძევ! ფრიად საჭიროა, რომ აკაკის ფონდის და პენსიის შესახებ ერთი სხდომა კიდევ მოვახდინოთ.

ეს მარტო ჩემი აზრი კი არ გახლავთ, ასევე ფიქრობენ საიუბილეო კომიტეტის სხვა წევრებიც.

კარგი იქნება, კრება დაჩქარდეს, და თუ დღეს საღამოზე იგი ვეღარ მოესწროს, ხვალ მაინც მოვახდინოთ.

თქვენი ღრმად პატივისმცემელი **იაკობ გოგებაშვილი**".

დოკუმენტებიდან ნათლად ჩანს, თუ როგორ სიდუხჭირეში უცხოვრია აკაკის, რა ძალისხმევა დასჭირვებია მას, მის ერთგულ ადამიანებს პოეტისათვის პენსია რომ დაენიშნათ.

ბრძენია ხალხი!

ბრძენია და, უთუოდ ამიტომაც თქვა: "ცოცხალთ აბუჩად ვეპყრობით, მკვდრებზე ვიხოკავთ ლოყასა!"

მოამზადა ლევან გაბიჩავამ

ბიძაშვილი ნანი პაპავა, თემურ თარგამაძე, ქეთინო, მამუკა კოპალეიშვილები იუწყებიან

თორნიკე მიხეილის ძე პაპავას

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ ოჯახს.

ჯამბულ შენგელიას გახსენება

ერთი წელი გავიდა იმ საბედისწერო დღიდან, როცა მოულოდნელად შეწყდა შენი გულის ძგერა. ძალიან მიძნელდება უშენობა და ვერ ვეგუები იმ აზრს, რომ შენ ჩვენს შორის აღარ ხარ.

ძმაო, შენ ბუნებისაგან გამორჩეული იყავი შენი ცოდნით, განსწავლულობით, სიკეთით და კაცთმოყვარეობით.

ჯამბულ ძნელია, ძალიან ძნელია დისთვის ძმის მოსაგონარი სიტყვების წერა. შენ ხომ ჩემი ერთადერთი და საფიცარი ძმა იყავი.

ახლა ისღა მანუგეშებს, რომ კიდევ ერთხელ მოვალთ შენს საფლავზე. მოგიტანთ უამრავ ყვავილებს, დაგინთებთ წმინდა სანთლებს და ღმერთს შევევედრებით, რათა დაგიმკვიდროს წმინდა სასუფეველი.

ნათელში იყავი!

შენი და ნათელა

ნანატრი საქართველოს ჩემპიონობა ერთ ნაბიჯზეა

3 დეკემბერს უამინდობამ ვერ შეაშინა სამტრედიის საფეხბურთო კლუბის ქომაგები და ეროსი მანჯგალაძის სახელობის სტადიონი სავსე ტრიბუნებით დაუხვდა მიმდინარე გარდამავალი საფეხბურთო ჩემპიონატის კულმინაციის _ საფეხბურთო კლუბ "სამტრედიასა" და საჩხერის "ჩიხურას" ორრაუნდიანი დაპირისპირების პირველ მატჩს.

შეგახსენებთ, რომ ფეხბურთში ეროვნული ჩემპიონატის მიმდინარე გათამაშება სპეციფიკური ფორმატით ჩატარდა: ორ ჯგუფად გაიყო უმაღლესი ლიგა და ჯგუფებს შიგნით პაექრობა დასრულდა იმერული კლუბების სრული ჰეგემონიით.

ჩემპიონატის დასრულებამდე სამი-ოთხი ტურით ადრე ერთ ჯგუფში ზემო იმერულმა "ჩიხურამ", ხოლო მეორე ჯგუფში ქვემო იმერულმა "სამტრედიამ" პირველობა გაინაღდეს. ჩემპიონატის დებულების თანახმად საქართველოს ჩემპიონის ტიტულის მფლობელს ფინალურ ორრაუნდიან შეხვედრაში გამოავლენენ.

რაც შეეხება უშუალოდ თამაშს, დეკემბრის წვიმა და სუსხი არც ფეხბურთელებს უქმნიდა კომფორტს. ამინდის ჭირვეულობამ ვერც გულშემატკივარი შეაშინა და მოედანზე გამართულ საფეხბურთო სანახაობასაც რომ ვერაფერი დააკლო, ეს მთელმა საქართველომ პირდაპირი ტელერეპორტაჟით იხილა.

მატჩი მართლაც საინტერესო და სანახაობრივად თვალსასეირო გამოდგა. მთავარი შემოქმედები, მასპინძლები, სამტრედიელი ფეხბურთელები იყვნენ. მატჩის დასაწყისიდანვე სამტრედიელმა ფეხბურთელებმა მოედნის თითოეულ მონაკვეთზე უშეღავათო ბრძოლა, მაღალი სისწრაფე და მახვილგონივრული ტაქტიკა შესთავაზეს მეტოქეს. შეტევას შეტევა სცვლიდა. რამდენიმე ხელსაყრელი საგოლე მომენტის გამოუყენებლობის შემდეგ, მე-18 წუთზე დავით ჯიქიას ბრწყინვალე გადაცემა, მიმდინარე ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირმა ბუდუ ზივზივაძემ ქულად აქცია. კომბინაცია მართლაც შთამბეჭდავი გამოვიდა. ვინც ტელეეკრანით იხილა საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველ არხზე 3 დეკემბრის საფეხბურთო მატჩი, დიდხანს დაამახსოვრდება მატჩის წამყვან-კომენტატორთა აღტაცებული კომენტარები. სამტრედიელებმა გატანილი პირველი გოლის შემდეგ კიდევ უფრო გაზარდეს სათამაშო უპირატესობა და პირველი ტაიმის მიწურულს, მატჩის მე-40 წუთზე ბუდუ ზივზივაძემ ახლა უკვე ბაჩანა არაბულის ასისტენტობით მე-2 ულამაზესი გოლი გაიტანა საჩხერელთა კარში.

მე-2 ტაიმში საჩხერლები გამოცოცხლდნენ. შეტევა გააძლიერეს და მასპინძელთა კარებთან რამდენიმე სახიფათო მომენტი შექმნეს, თუმცა, სამტრედიელთა დაცვა და მეკარე ომარ მეგენეიშვილი მოწოდების სიმაღლეზე იდგნენ. მასპინძლები არც შეტევას ივიწყებდნენ და ანგარიშის გაზრდის რამდენიმე შესაძლებლობაც ჰქონდათ.

მატჩისათვის განკუთვნილი დრო ორმხრივ იერიშებში მიილია და ტაბლომ საბოლოო შედეგი _ 2 : 0 დააფიქსირა, ეს განმეორებითი მატჩის წინ, რომელიც თბილისში 11 დეკემბერს გაიმართება სამტრედიის საფეხბურთო კლუბს საგრძნობ უპირატეს მდგომარეობაში აყენებს. თუმცა გადამწყვეტი ბრძოლა წინ არის და ნანატრი საქართველოს ჩემპიონობა ერთ ნაბიჯზეა.

ნინო ნანიტაშვილი

გიხდებოდათ მშობელ ქვეყნის მომხდურთაგან ლამის მალვა და გვახსოვხართ ამიტომაც "ჯარისკაცის მამის" მამა!

გიორგი ელაშვილი _ პირველი თანრიგოსანი მოჭადრაკე

14 წლის გიორგი ელაშვილი ჭადრაკში 5 წლის ასაკიდან ემზადებოდა. მონაწილეობას აქტიურად ღებულობდა სხვადასხვა საჭადრაკო ტურნირებში. იგი ბევრჯერ გავიდა საპრიზო ადგილებზე, რომელთა შორის აღსანიშნავია საქართველოს ჩემპიონატი მე-2 ადგილი 12 წლის ჭაბუკთა შორის. ბოლოს იყო იმერეთის ჩემპიონატი და იმერეთის საკვალიფიკაციო ტურნირები, სადაც ეტაპობრივად მოიპოვა პირველი, მეორე და მესამე ადგილები, აგრეთვე გაიმარჯვა სხვადასხვა ცნობილი მოჭადრაკეების მემორიალებზე. მიღებული აქვს "მაია ჩიბურდანიძის თასი".

2012 და 2014 წლებში გიორგი ელაშვილი საერთაშორისო სკოლა "ბრითიშ ქონექშენიმ" დააჯილდოვა კლუბ "კაისას" თასით პირველი ადგილის დაკავებისთვის. დიდ საერთაშორისო ნორმიან საჭადრაკო ფესტივალის "ბათუმის მერიის თასი-2016" -ის მაღალ რეიტინგიან B კატეგორიაში 14 წლამდე ჭაბუკებს შორის მე-3 ადგილზე გავიდა სამტრედიელი მოჭადრაკე გიორგი ელაშვილი და დაჯილდოვდა მედლითა და დიპლომით.

ასევე აღსანიშნავია, რომ წელს გიორგიმ მონაწილეობა მიიღო სამტრედიაში გამართულ "ანზორ მაჩიტიძის სახელობის საჭადრაკო მემორიალი _ 2016"-ზე აბსოლუტურ მოჭადრაკეებს შორის. ტურნირს გამოეყო 14 წლიანები და 14 წლამდე ჭაბუკებს შორის გიორგი პირველ ადგილზე გავიდა.

"გიორგი ელაშვილი მხოლოდ 14 წლისაა და უკვე დამტკიცებული აქვს პირველი თანრიგი. რაც მისი შრომისუნარიანობისა და მწვრთნელების დამსახურებაა. კიდევ მეტი წარმატებების მოლოდინში ვიმედოვნებთ, რომ ქვეყნის ფარგლებს გარეთ ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებზეც გვასახელებს ჩვენი საამაყო მოჭადრაკე". _ "სამტრედიის მაცნესთან" კომენტარში აღნიშნავს გიორგის პედაგოგი ნინო ჯვარშეიშვილი.

ნინო ნანიტაშვილი

რედაქციის მისამართი:
სამტრედია, რესპუბლიკის ქ. №6
ტელ: 790 391839

სამტრედიის მაცნე

დირექტორი ბეჟან გოგია
მთავარი რედაქტორი ქეთევან ჭელიძე
გამომშვები რედაქტორი თეა ბაბუნაშვილი
პასუხისმგებელი მდივანი ლევან გაბეჩავა
კომპიუტერული უზრუნველყოფა მაკა პაპავა